



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბიტ ბუქ-
ურბი სიფყაა, ცუდიუბით და ჭბბუბით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯბბბბბბბუ უსბბბბბბბ.

ბაგბბბბ 1918 წლის
25 ივლისიდან

რეპრეზენტატივა

ბარასკევი, 7 იანვარი. 2022 წ. №3 (9341) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

იანვარი ნიშნობა

ჰა, ქრისტეშობა



ჰა, ქრისტეშობა ქარის მღერა, ყინვის კარკაცი თეთრი ჩოხეში. მოსინამული ქედი კავკასის.

ცა მოკარკარე, მოელვარე ისე, ვით სარკე. ღრუბლის ფარები, გალაღუნნი კასპიისკენ.

მდინარეები – საქართველოს ლურჯი ვენები, ზამთრობით მარჩხი, ნაკლულევენები

ზვრებში, ვაზებზე შერჩენილი ყურძნის მტევნები

სუროში – შაშვი, სახლში ცეცხლი. კვამლი, ნაცარი. თოვლში – ბალღების სიცილ-ტკარცალი.

მწვანე ნაძვის ხე, ჩიჩილაკი, ციგა. მარხილი, აბღაღღებული სოფლის ნახილი.

კარი, მიდამო, გუთნისდღის,

მწყემსის, მებაკვის. ეკლესიაში მხნე ფუსფუსი მღვდლის და დიაკვნის.

თვით გოლეულზე ტკბილი არის, კვლავ კიკოლიკა ეს მშობლიური იდილია და ბუკოლიკა.

მრავალუამიერ ჩვენსას კიდით კიდე ბუნებას, მის საშობაო სიწმინდეს და დიდებულებას!

სასწაულთა სასწაული

7 იანვარს მთელი მართლმადიდებელი ქრისტიანული სამყარო, საქართველოს სა-
მოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ხორციელად შობას.

...ღვთის აღთქმის დარღვევის გზით, როდესაც სამოთხიდან განიდევნენ ადამიან-
ების მოდგმის პირველი მშობლები, უფალმა თავისი გამოუთქმელი გულმორწყალებით
დაცემულ კაცობრიობას გამოხსნის აღთქმა დაუდო. ამ აღთქმაში ყოვლადწმიდა ქალწულის
შესახებ წინასწარმეტყველებაც იყო: „თესლი დედაკაცისასა დათრგუნავს თავსა გვე-
ლისასა“.

პატრიარქმა იაკობმა იწინასწარმეტყველა, რომ იუდას ტომი სვიპტრას დაკარგავ-
და. წინასწარმეტყველმა დანიელმა კი გვაუწყა, რომ ქრისტეს მეუფება დადგება მას შემდეგ,
რაც ჩამოყალიბდება სამეფო სამყარო, როგორც რკინა, რომელიც ყველაფერს დაარ-
ღვეს და დააქცევს და, რომ მსხველი ქვეყნიერებისა იერუსალიმის აღდგენის შესახებ
ბრძანების გამოსვლიდან სამოცდაათი შვიდულის შემდეგ მოეწინებება...


ნიშანდობლივია ისიც, რომ ქვეყნიური მეფის ნებამ მოუხმო იოსებს და მარიამს
ბეთლემისკენ... ბეთლემში კი იყო დავითის მთელი მოდგმა და ამიტომაც იგი დავით
მეფის საგვარეულო ქალაქად სამართლიანად იწოდებოდა. ბოლოს მარიამმა და იოსებმა
ბეთლემს მიაღწიეს, მაგრამ იქ მოსასვენებელი ადგილი ვერ იპოვეს.

ბეთლემიდან ჩრდილოეთით, კლდეებს შორის, გამოქვაბულში წმინდა მგზავრებმა
თავი შეაფარეს... აღესრულა ისაიას წინასწარმეტყველება: „აი, ვინ დაივანებს მაღალში,
კლდეთა სიმაგრეები იქნება მისი – საფარი“. სწორედაც, რომ ამ მყარ კლდეებში
შუაღამისას ქალწულმა მარიამმა წინასაუკუნეთაგან მამისაგან შობილი უხრწნელი შვა
და „მიაწვინა იგი შავასა“.

როდესაც ყოვლადწმინდამ თავისი ძე და ღმერთი ჩვენი შვა, დაუყოვნებლივ უფ-
ლის სამსახურს შეუდგა, სხვათა დახმარება აღარ სჭირდებოდა, მაგამი მიაწვინა და
პირველმა მან სცა თაყვანი, ასევე მოკრძალებული მღვდნობით სცა თაყვანი იოსებმა
ყოვლადწმინდა დედასა და მის ძე... სწულიად საქართველოს ვულოცავთ იმ წმიდა
ღამეს მომხდარ სასწაულთა სასწაულს – ქრისტეს შობას!

ის ამაყოფა თავისი ქართველობით!

ვიქტორ სანევივი დაიკრძალა



საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონის, XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენის, საქარ-
ველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-
ერთი დამფუძნებლის ვიქტორ სანევივის გარდაც-
ვალებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებრი-
ობაში, მსოფლიოს დიდ ოლიმპიურ ოჯახში. ამ სამწუხარო ფაქტმა შეძრა ქარ-
თული სპორტული სამყარო, მთელი ქართული საზოგადოება.

სოსუმში დაბადებულ ვიქტორ სანევივს არასოდეს უთქვამს უარო თავის სამშობ-
ლოზე და არაერთი მაცოტუნებელი წინადადების მიუხედავად, მთელი ხანგრძლივი
სპორტული კარიერის მანძილზე საბჭოთა კავშირის ნაკრებში საქართველოს წარ-
მოადგენდა. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ, იგი თავის მეუღლესთან და ვა-
ჟი შვილთან ერთად უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ავსტრალიაში, სიდნეიში ცხოვ-
რობდა და 2022 წლის 2 იანვარს იქვე აღესრულა 76 წლისა.

გასული საუკუნის ბოლოს მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა, რომ
ყველაფრის მიუხედავად, დასაფლავება მშობლიურ მინაში ერჩია.

საქართველოს სახელმწიფომ გამოთქვა მზადყოფნა მისი ამ სურვილის აღ-
სასრულებლად. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სა-
მინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის სახელით, საქართველოს ეროვნულმა
ოლიმპიურმა კომიტეტმა მის ოჯახს შესთავაზა ვიქტორ სანევივის ნეშტის საქარ-
თველოში ჩამოსვენება და სათანადო პატივით დაკრძალვა საზოგადო მოღვა-
წეთა პანთეონში. ამასთან ოჯახს ეცნობა, რომ ქართული მხარე მზად იყო, გაე-
ლო საამისოდ საჭირო ყველა ხარჯი.

ამ შეთავაზების საპასუხოდ ვიქტორ სანევივის მეუღლემ იანა სვარც კიამ სა-
ქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ოლიმპიურ ჩემ-
პიონ ლერი ხაბელოვს ელექტრონული ფოსტით გამოუგზავნა მადლიერებით აღ-
სავსე წერილი, რომელშიც იგი სხვათა შორის წერს:

„მე და სანდ-
რო დიდად ვაფა-
სებთ იმ თა-
ნაგრძობას და
თანადგომას,
რომელსაც ამ
დღეებში საქარ-
თველოდან გგრ-
ძნობთ. ჩვენ
ორივენი მადლი-
ერი ვართ სამი-
ნისტროსი და
თბილისის მერი-
ისა, მათი მზად-
ყოფნისათვის
და იკრძალოს
ვიქტორი პანთე-
ონში. იყო რა
ამაყი თავისი



სანდრო, იანა, ვიქტორ სანევივი

ქართველობით, ვიქტორი დიდად მადლიერი იქნებოდა მისი პიროვნებისა
და დამსახურების ასეთი აღიარებით. ოჯახში განვიხილეთ თქვენი შემოთა-
ვაზება და მივიღეთ რთული გადაწყვეტილება, არ განვასოცოთ ის. ამის
მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენი ოჯახი ახლა სიდნეიში ცხოვრობს, ამ უპრე-
ცედენტო დროში ჩვენი საქართველოში მოგზაურობა, მით უმეტეს ჩემი ასა-
კის გათვალისწინებით, უფრო და უფრო გართულდება და ჩვენ არ გვექნება
საშუალება მივაკითხოთ მის საფლავს ისე ხშირად, როგორც ამას ვისურვებ-
დით. დიდი მადლობა გაგებისათვის.“

სათანადო ოფიციალური ფორმლობების გამო ჯერჯერობით არ არის ცნო-
ბილი ვიქტორ სანევივის დაკრძალვის ზუსტი თარიღი. იგი დაიკრძალა სიდნე-
იში. გამოსვენება მოხდება სიდნეის ერთ-ერთი ეკლესიიდან. სამგლოვიარო რი-
ტუალის აღსრულებაში ჩართულია ავსტრალიის ეროვნული ოლიმპიური კო-
მიტეტი. სხვა მრავალრიცხოვან გვირგვინს სახელგანთქმული ჩემპიონის უკანასკნელ
გზაზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისგან გაგზავნილი სამ-
გლოვიარო გვირგვინიც შეუერთდება.

ვიქტორ სანევივის ამქვეყნიური ცხოვრება შორეულ ავსტრალიაში დასრულ-
და. ამიერიდან იგი უკვდავებაში გადადის, სადაც არც სივრცე და არც დრო აღ-
რაფერს ნიშნავს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ყველა ქვეყნის ცხოვრებაში ქამიდან ქამამდე ბოლოპარი ბონის აუთენტის ღრუ ღგება. ბაბინარია, ეს რომ პრობრებისა და საყოველთაო სიხლის სანდინარი იყოს, მამრამ როცა ის ემსახურება სხვა სამყაროში მოხარული ცინიგმის შემოქმედთა ილუზიების ლაქაყოფილების სინდრომს, კნელია, ნლობით აღივსო ვანი ქვეყნის „ეი შემთოვილთა“ მიმართ...

ღანიბრა დიქტატურა, დაიბადა (ჩვენთვის) კაცობრიობისათვის არცთუ ისე დაღვინებული დემოკრატია. ეს რომ საუკეთესო არაა, ჩვენთვისაც არ ახალია, ძველია. ცნობილია, რომ ტერიტორიული ნიშნით შექმნილი საზოგადოება, ქვეყანა, მისი (ზოგჯერ!) საუკეთესო წარმომადგენლებისაგან ქმნის სახელმწიფოს საკუთარი ცხოვრების წარმართვისთვის. ასე შეიქმნა ძველი სისტემის ნანგრევებზე კვაზი ხარისხის მატარებელი სახელმწიფო, სადაც მკაცრად ჩამოყალიბებული თვისობრივი მონაცემები არ სჭირდება შომოსაპიენს იმისათვის, რომ იდგეს სახელმწიფოს მართვის სათავეებთან და დემოსის ნება მოარგოს თავის არცთუ ისე ჯანსაღ ინტერესებს.


ასეთი მდგომარეობა არაჯანსაღია და მყოფე ბოძებზე დგას. მისი რყევის ამპლიტუდა ქანქარასავით მოძრაობს და პროგრესს ნაკლებად უწყობს ხელს. სამწუხაროდ, ამის ნათელი მაგალითია ახლად დაბადებული სახელმწიფო, რომელიც სამი ათეული წელია უსუსური ბავშვივით გამოიყურება. ყველაზე ძლიერი დამანგრეველი ბანგი, სახელმწიფოს ძალაუფლებისკენ სწრაფვა, ერთ დროს ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულის კოპაბილტაციური მიტევა, დემოკრატიის მის ტანზე მორგებულ მანტიას გახვევა და ისევე მბრძანებლის მწვერვალზე აბობლვის შესაძლებლობის სურვილი, ქვეყანას ძალაუფლებად ერეკება ქაოსისა და უიმეჭობის ბურუსში. თვითდაჯერების ინსტიტუტი იმდენად გამჭვდარი აქვთ დაბურულ გონებაში, სხვა, ვისაც ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული ქვეყნის ბედის გაურკვეველი მომავალი, ადვილად ხვდება მათ ნასროლ ბადეში. სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევაში საზოგადოება იხლიჩება ორად, მდინარის ერთ ნაპირზე რჩება ძირითადი მასა, მეორე ნაპირზე – მეამბოხეთა კასტა. მთავარი ნაპირის ბინადარი ნი მათ სინანულით ადევნებენ თვალყურს და ცოდვილად მიიჩნევენ. ეს იმიტომ, რომ ერთი მძლავრი და საყოველთაო ბერკეტი აერთიანებთ – **სახელად დემოკრატია**. თუმცა სად იწყება და სად მთავრდება დემოსის უფლებების დაცვა-დაარღვევის ფილოსოფია, არავინ იცის და არც არავის ინტერესებშია. ორივე ერთნაირად დადის მაგიურ წრეზე და არც კი ცდილობენ ერთმანეთისკენ ნაბიჯების გადადგმას. მათ შორის ხომ დემოკრატია არის წამოწოლილი! შორიდან დუმილი (ხმამალალი ლაპარაკი არავის ესმის!) მათ ქმედებას ორ სიტყვაში აქცევს – „კარიმარი, კარიმარი!“ (რახლები) – მარჯვნივ ნახვალ, ინანებ, მარჯვნივ ნახვალ, მინც ინანებ!

„ჰოვლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ მართლა რა „აჭამა“ ამ ხალხს „სეთურის“ დემოკრატიაში თუმცა, კბშიუს თუ დავესხვებით, დემოკრატიის მთავარი მონამოვარია „ქმშილავირი ნიბა-დართული ნიშნავს, არაფერი არ არის აპარტული“? რამეთუ ასეთ მიდგომას მივყავართ აბსურდამდე! დიას, ქვეყანა გადაიტყა აბსურდის თეატრად! აი, ახალი ჰომოსაპიენსების მიერ ღია ცის ქვეშ ჩამოყალიბებული აბსურდის თეატრი თავისი ავანსცენით თუმცა ბოლო მაინც ერთ იქნება. დიას ბატონებო, შეეგონა, – „აბსურდი არ ათავისუფლებს, ის ბოჭავს, ის ყველაფრის ჩადენის უფლებას არ იძლევა. ყველაფერი ნებადართული არ ნიშნავს, რომ არაფერია აკრძალული“

დღეს კი, ჯერჯერობით, აბსურდის თეატრი ნელ-ნელა წინ მიიწევს თავისი პოსტულატებით. აბა ვნახოთ, რას გვიქადის ეს უაზრო წარმოდგენა. ავანსცენაზე გახუნებული ფარდა ჰკიდია და არც ჩამოშვება სცენის დასახურად. მაშ, რა სახის აბსურდთან გვაქვს საქმე, ჩემო დემოსისა და კრატოსის თავყანისმცემლებო?!

ქვეყანას რომ პატრონობა სჭირდება ამ „საოცარ და მახინჯ“ სამყაროში, ეს ბანალური ქმშარიტებაა. **ეს განსაკუთრებით ჩვენზე ითქმის, ვინაიდან, კარგად ვიცით, როგორ „შაგრენის ტყავით“ ბატარადებოდა ჩვენი მიწა-წყალი, სხვები კი იზრდებოდნენ ჩვენს სარჯზე!** სწორედ ეს ალაპარაკებდა და აწუხებდა ერის მამას ილია მართალს, როცა გემოდვრავდა და **„ჩვენ თუ არ ვუბატონებ ჩვენს მშვენიერ მიწა-წყალსა, მას, როგორც უბატონო ეკლესიას, ვშმაკები დაეპატრონებიანო.“** ქვეყნის წარმატების მიღწევის ერთ-ერთი უმთავრესი გზა ერის გამთლიანება, საერთო ნიადაგზე დგომა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვაა. ქვეყანას სჭირდება ქმშარიტი ქორისუფალი. სამყაროს ყველაზე მრისხანე მსაჯული, დრო არავის და არაფერს არ ელოდება. შენ უნდა ნახო გზა და სახარი წინსვლისთვის, რამეთუ მედროვეებსა და საკუთარ კეთილდღეობას გამოკიდებულებს ნაკლებად მიუღწევიათ საერთო ბედნიერებისთვის, ისინი საკუთარი საზომით უდგებიან ქვეყნის ბედსა

ებას შორის, პატივისცემასა და აღიარებას იმ საძირკველისა, რომლის მხრებზე დგას მყოობადი და მომავალიც. ყოველგვარი წარსული, უახლესი წლების წამოქმედარიც, თურმე, მათი აზრით, აბსურდია და ეს არ შეიძლება მომავლის საზოგადოებას ბალავრად გამოადგეს. მხოლოდ და მხოლოდ მათი „სეთურისებური“ ხედვაა ის, რომ წინაპართა მიერ ჩაყრილი საძირკველი თურმე ფუყე ქვე-



„კარიმარი, კარიმარა!“

ანუ აბსურდის თეატრი

და უბედობას, იმ განსხვავებით, რომ მათთვის საკუთარი სიმშვიდე და სიმდიდრე **„განსაცვიფრებლად არის მთავარი“**. დღევანდელთადაც კი თავისი ნიალიდან ზედაპირზე ამოატივტივა გაუნათლებელთა და უტიფართა გაურკვეველი მასა, რომელიც ირონიით ცდილობს ქვეყნის სათავეში ხელმეორედ მოქცევას და მბრძანებლის კვერთხის ხელში დაჭერას. ამ გზაზე მათგან დანდობის ელემენტები მთლიანად იგნორირებულია და ყოველგვარი აკრძალული ხერხი მისაღებია დემოკრატიისა და „მეგობარი ქვეყნების“ სიტყვიერი მხარდაჭერის საბაბით. ისინი აბსურდის იდეებით იკვებებიან და თავიანთ მესობებებსაც შთააგონებენ იგივეს. მათთვის უცხოა ქართველი ერის წინაშე დასმული ისტორიული კითხვა – „რანი ვართ და რანი შეიძლება ვიქმნეთ!“ ილიას ეს ცნობილი შეგონება მათი ინტერესების სფეროს ბევრად სცილდება. ეს აბსურდისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია...

ქვეყანას წინსვლა და სიყვარული სჭირდება, ბატონებო! დღევანდელი ავანსცენის ნიღბიანი გმირები კი ისევე და ისევე იშველიებენ დემოკრატიის უზოგადეს და ქიშურულ პრინციპებს. ამან განაპირობა ის, რომ ხალხის ღვთიური ნების აკუმულირება (უტიფართა ყვირილისა და ბლავილის ფიონზე...) ერთი მუჭა სირცხვილის ზღვარგადასულ პერსონათა ხელში აღმოჩნდა. **ისინი მოქალაქეების სახელით დღენიადგა აფრეგვენ თითიდან გამონოვილ გამოგონილ „ახალ-ახალ“ თემებს და ცდილობენ, ცრურწმენის გახუნებული უსახური აზრები მოახვიონ ისედაც უამრავი სიფუჭირის წინაშე მდგარ ადამიანებს. ამის საბოლოო მიზანი არცთუ ისე შორეულია, გათვლილი სხვის ნებაზე ბატონობასა და საკუთარი უპირატესობის მიღწევაზე.**

შეუძლებელია, სრულ ჭკუა-გონებაზე მყოფმა ადამიანმა იწამოს ამ უტიფართა მიერ გამოგონილი ვირტუალური სამყაროს, „მარტოობის ასი წელიწადის“, ნათელი მომავალი. დროთა მდინარეება ერთ უმკაცრეს კანონს ემორჩილება, რომელიც სულმნათმა ილიამ ერთ თეზაში მოაქცია – **„წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყო-სი, როგორც აწმყო მომავლისა“**. ეს ნიშნავს კავშირის უწყვეტობას ამ სამ დრო-

ღეს კი, ჯარჯრობით, აბსურდის თეატრი ნელ-ნელა წინ მიიწევს თავისი პოსტულატებით. აბა ვნახოთ, რას გვიქადის ეს უაზრო წარმოდგენა. ავანსცენაზე გახუნებული ფარდა ჰკიდია და არც ჩამოშვება სცენის დასახურად. მაშ, რა სახის აბსურდთან გვაქვს საქმე, ჩემო დემოსისა და კრატოსის თავყანისმცემლებო?! აბსურდის თეატრის მოქმედ პირთა გალერეა საბოლოო დამარცხებისთვისაა განწირული. გალე დასრულდება ბელადოვანისა და წარსულში დაბრუნების მოსურნეთა ისტორიკული ღრინაბელი. გე კი, ვიტყვი, „რამეთუ კუდი კალღისა არ განიბართების, არცა კიჩიბი მართლად ვალს“...

ბით ყოფილა ავსებული, არის წარსულისადმი ნიჭილისტური და ამავე დროს უპატივიცემული დამოკიდებულებების შედეგი, რომელსაც ასე რუდუნებით ახმოვანებენ აბსურდის თეატრის ყალბი მსახიობები. ისეთ ზეაბსურდამდეც კი მიდიან, რომ ამაყად აცხადებენ, თითქოს ეს ქვეყანა მაგათ შექმნეს.

წარსულის გამოცდილების გაზიარება, შეფასება და მისგან რაციონალურის აღება ერის წინსვლის საწინდარია. მან თავისი მძიმე ტვირთი ატარა ისე, როგორც შეეძლო, მომავალს კი დაუტოვა ფიქრისა და განსჯის საშუალება, დიდაც გამოცდილება. ღირებულებათა შკალა შეიცვალა. ყოველივე ამის სწორად და ღრმად გააზრებას დიდი ნიჭი და შემართება სჭირდება, უნდა შეგეძლოს იმ მიზიდულობის დაძლევა, რომელიც ყოველთვის უკან გექაჩება და შენ კი გგონია, რომ წინ მიდიხარ. **ჯერ კიდევ არ იციან აბსურდის თეატრის გმირებმა, რომ ორი შედეგობრივი არჩევანის წინაშე დგა-**

ნან, ან დარჩენ ავანსცენაზე მარადიული ირეალური სამყაროს მარგინალურ გმირებად ან ნელ-ნელა დატოვონ ტრაგიკომედიის მაცურების გარეშე დარჩენილი სივრცე და ისევე საზოგადოებას დაუბრუნდნენ. მათ ავიწყდებათ დიდი იოანე საბანისის შეგონება: „მამულისა ჩვეულები-საებრ სლვას“ ქმშარიტება. რომორც ჩანს, ჯარჯრობით, „შორია ბურჯისტანამდე“... ჯარჯ-

კიდევ მტკიცებადა ვაშავებამდე მული ქართველთა ისტორიულ განეტიკაში სხვისი მოიგებოვისა და მათ მოწოდებაზე უაქაღა-ციოდ ჰურის გდების სინდრომი. ეტყობა, ჯარჯ ვარ ბათავისუფლდა ქართველთა ზნე-ჩვეულება თავისი ქვეყნის ბარათ ხსნის გზის ძიებისგან და უჭირს საპუთარი ქვეყნის ისტორიული განვლილი გზის ქმშარიტების დაწახვვა. რა ბამოღის? **მართლაც ყველაფერი ნებადართულია განვანთების და არაფერი არ არის აპარტული?!** ...ის ხომ ეროვნული ღირებულებების დაკნინებაა.

ჩვენდა საუბედუროდ, აბსურდის თეატრი ისევე თავის სტიქიაშია. ავანსცენაში ჩაკეტილი უნიჭოთა ბრბო არაფერს და არავის უწევს ანგარიშს. მათ ხომ „სეთურისტების მამები“ და მათ მიერ გაღმერთებული „დემოკრატია“ იცავს, რომ თმა არ ჩამოუვარდეთ. **მათი მიზანია დალაღონ საზოგადოება და სახელმწიფო(!) უკიდევანო ყირამალობითა და მაისის კატის კნავილით. მაგრამ მათთა საუბედუროდ და ჩვენდა საბედნიეროდ (ისინი ხომ აღიარებენ საზოგადოების პოლარიზაციას და არ შეიძლება ამაში არ დავეთანხმეთ მათ!) ავიწყდებათ ერთი დიდი ქმშარიტება – „არ არსებობს უნაყოფო და უიმედო შრომაზე საშინელი სასჯელი“ (კამიუ). აქედან ლოგიკური დასკვნის გაკეთება შეიძლება – **ეს ყველაფერი არაფერია, მათ მიერ არჩეული გზა გვარწმუნებს იმაში, რომ უფარდო ავანსცენის მოქმედი „გმირები“ „მძიმე, მაგრამ თანაბარი ნაბიჯებით მიემართებიან თავისი დაუსრულებელი სატანჯველისაკენ“ (ეს არის იმ ფიროსმანის შთაგონება, რომელიც მეთევზეს წითელ ფერებში ხედავს)...****

მაგრამ ვხედავთ, რომ აბსურდის თეატრმა ნელ-ნელა, სწორის სინდინჯით, შვა კვაზი ბელადი, რომელიც საბოლოოდ ჩაიძირა აბსურდის სამყაროში. მით უმეტეს, უკვე ელანდება და ესმის (და ეს რეალურად ასე ჰგონია?!), „ჩურჩული ან გელოზთა“, რომელიც პირდაპირ მიაწინებენ მძიმეწონიან მტერზე, რომელიც მაცილის გამანადგურებელი ხარხარით ცდილობს „ბელადის“ მოკვდინებას. ის დარწმუნებულია აბსურდის თეატრის შორეული მაცურებლის სურვილისა და მოქმედების თანხვედრაში მტრის ავ მიზანთან. სეთურის გვირახის მთხრელები კი მისი სურათის თანხლე-

ბითა და ნიანგის ცრემლებით „პოლიქრონიონს“ უმღერია მათ „ბელადს“.

თუმცა, საზოგადოების დაღლა რომ ცალმხრივი არ არის, ესეც ცხადია. უკვე ახლოვდება აბსურდის თეატრის ავანსცენაზე უიმედო აპათიაში ჩაძირული, ჩამურული და დაღლილი-დაქანცული, უნიჭო, ამორფული მასა, რომელიც ძლივს სუნთქავს. ამ აბსურდის თეატრის ბოლო მოპოვანი მალაა ლმერთსკენ ხელბეჭდვით ამოსუნთქვას და მიკნავებული ხმით ძლივს იტყვის — პოლიქრონიონს...

...გახუნებული ფარდა ისევ ჰკიდია უძრავად ავანსცენის თავზე. მაყურებელი იმედგაცრუებული და დამარცხებული ნელ-ნელა ტოვებს დარბაზს და იძირება თავის ტკივილსა და უიმედობაში, სადაღაც გულის კუნჭულში დარჩენილი ბოლო „იმედის“ საძებნელად... ყურში კი დაუსრულებლად ჩაესმის „დამოუკიდებლობა“... „დიქტატორი და დიქტატურა“... და ყველაზე აბსურდული და შორეული სიტყვა „დემოკრატია“...

აბსურდის თეატრი დასასრულს უახლოვდება, მაგრამ რეალური ცხოვრება გრძელდება... თუ მოვიშველიებთ ქართული გონის წინასწარმეტყველურ სიბრძნეს, ცხადი გახდება სამომავლო ვექტორთან როგორი დიდი სიფრთხილე გვმართებს...

„რკინის დროებაში ვცხოვრობთ, ამიტომ ახლა ყველაზე ძნელი საშოვნელი გული ყოფილა. სიყვარული მოკვდა... მოკვდა!“ (მ. ჯავახიშვილი). **თქვენ არ გაგაჩნიათ საზოგადოებრივი მნიშვნელობა? ან საზოგადოებრივი მნიშვნელობა რომელია? თქვენ არ გაგაჩნიათ საზოგადოებრივი მნიშვნელობა? ან საზოგადოებრივი მნიშვნელობა რომელია?**

ქართველი ერის „მეორე სვეტი“ ილია მართალი რამდენი ხნის უკან ბრძანებდა — „სამშობლოზე არ აღმართო ხელი და ხმალი არასოდეს, გესმის? არასოდეს! რაც უნდა მოხდეს რაც არ უნდა მოხდეს რაც არ უნდა შეგპირდნენ (III) რა მუქარითაც არ უნდა დაგაშინონ“...

ეს დიდი გაფრთხილება არ უნდა გახსოვდეთ, აბსურდის შემოქმედნო? დიახ, შემოქმედნო, იმიტომ, რომ ყოველგვარი ხერხით ცდილობთ მიუღწეველი და რეალურ მომავალს მოწყვეტილი ილუზიებით კვებოთ ის არშემდგარი ჰომო საპიენსები, რომლებიც სეთურის გამოგონილი სამყაროში სხედან და თავდაჯერებით კნავიან „გმირი ბელადის“ სადიდებელ უნიჭოდ შეთხზულ მონოლოგებს!... ისევ ილია მართალი: „**უმეტრება და უფიქრობა დიდი ჭირია და თუ ამასთან დაჰყვება უჭკუობა და უნიჭობა, სომ ჭირზე უფრო ჭირია**“...

ნათუ თქვენ არ ფიქრობთ, უმეტრებისა და უფიქრობის მორევში რომ ხართ შეტოპილები, ეს ცხადია უცხადესია. თქვენს თავზე „ჭირზე უფრო ჭირია“ დაბეჭდარია. ესეც სახეზეა. ამ დროს თქვენს მიერ სახელდახელოდ მოწყობილ ავანსცენაზე არ ჩანს ის „უანა დ'არკი“, რომელიც შესძახებს: „**ჭკუით, ქართველებო!**“ (ჭ. ამირჯანი). ჩვენს უკან სამშობლო! აქ თავმოყრილი უნიჭოების გროვა დღე და ღამე აბსურდული აზრებით საკუთარი თავის დარწმუნებასა და შთაგონებაში არიან, დაჯერებულნი ამ მიზნებისა და საცქიერის ქეშმარილებაში. ეს კი ნიშნავს საკუთარი მეს გამეტებას „მარადიული სატანჯველისთვის“ აბსურდისკენ მიმავალი გზით.

თავიანთი იდეებით შთაგონებული აბსურდის თეატრის „გმირები“ პიროვნულ ზნეობას შესავლელ კარებთან ტოვებენ. ისინი სრულიად „განბნაილინი“ შედიან მოგონილ სამყაროში, რომელიც რეალური გარემოს წაართვის, თავისი ილუზიური რწმენით დასუნძულულები და არად დაგივებენ მათი მოქალაქეობრივი ზნეობის საწყისებს... როდესაც ზნეობა არ სცილდება ამ „გმირთა“ შინაგანი ერუდიციის ღარიბ სამოსელს, ის ვერც მონაწილეობს თავის ქცევის ნორმებს. ეს კი შეუძლებელს ხდის დიდი სახელმწიფოებრივი ინტერესების მსახურების ვალდებულებას, რაც ვლინდება

იმაში, რომ თავის პირად მოთხოვნილებებს ფარისევლთა საჭიროებებს უთანხმებს სახელმწიფოს ინტერესების იგნორირებით, რომელიც სიცოცხლისა და კეთილდღეობის ყველაზე მძლავრი გარანტიაა.

აბსურდის ავანსცენის გმირები ერის სამსახურში დგომით კეკლუცობენ, თუმცა ერის ცნებაში არასოდეს იგულისხმებენ ხალხის სურვილსა და ნებას, თუნდაც, ეს უმრავლესობას ეხებოდეს. საინტერესო ისიცაა, რომ საკუთარი „მარტოობის ასი წელიწადის“ ილუზორული სამყაროს შექმნით, სამშობლოს ცნებას პირადი კრიტიკიუმებით ზომავენ. მათ ავიწყდებათ ან, იქნებ, არც არასოდეს იცოდნენ და უფიქრიათ ყველაზე ამაღლებულ და ყოვლის შემძლე ძალაზე, რომელსაც სიყვარული ჰქვია. „**სიყვარული — უანგარობასა და პირუთვნელობაში გამოსატყუარი კეთილმოსურნე დამოკიდებულებაა სამშობლოსა და სამყაროს მიმართ. მშვენიერების გრძნობას მშობლიური მიწა-წყლის სილამაზე და ერის ზნეობრივ-კულტურული საგანძური აღვივებს, ყოველივე ამას ზიარებული კაცი — მამულიშვილია, პატრიოტია**“ (ჭ. ამირჯანი). როგორც ვხედავთ, აბსურდის თეატრის გმირები, მათ „ბელადთან“ ერთად, მამულიშვილობასა და სამშობლოს ყველაზე გულანთებულ ჭირსუფლობაზე დებენ თავს. ეტყობა, მისი მთავარი არსი მათ არ ესმით, უბრალოდ, სურვილი აქვთ, რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი მოიპოვონ და ძალითა და სხვა ხერხებით(!) შეიჭყონ მათ მიერ შექმნილ ავანსცენაზე და ამით მთელი ქვეყანა აქციონ აბსურდის თეატრად. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ქვეყანაში მრავლადაა მამულიშვილური გრძნობით ანთებული „ჭკვანდები“ (ილია) კაცი, რომელიც კარგად ხედავს იმას, თუ ვის უნდა ანდოს მამულის ბედ-იღბალი და თვითონ როგორ დადოს აგური მის გასაბრწყინებლად.

მაგრამ, დღეს ნაღდი მამულიშვილების გპარდით ცრუ ჭირის უფალთა რიცხვიც მომრავლდა. **გარდა მისი ისაა, რომ წარსულის ნოსტალგიით ბათონაშენი და რანდომაციის სინთეზით შეაპროპაგანდო, დემოკრატიის საფორმით მთელ მთავანთი დარბაზს და მის მხნელ მისიბად წარმოიდგინან თავს. ისინი უფრო შორსაა მიდინან. არად დაბნობენ იმაზე რომელია მისი, არადა ავაზი დაპირებებითა და სიცრუის კორინტაშის დახმავებით, ცდილობენ ძაბოთუდ სახელმწიფოებრივად განაღდონ წარსული დაბნობა.**

მაგრამ ავიწყდებათ, რომ მხოლოდ და მხოლოდ უკვე მიღვევადი აბსურდის თეატრის შემოქმედნი არიან...დღეს კი, სახელმწიფო კარგად ხედავს რევანშისტებისა და სხვა გარე მოქილიკეთა უსარგებლო და უშედეგო მოქილიკეთს. ისინი დემოკრატიის მოშველიებითა და ურცხვი მანიპულაციებით ცდილობენ დამალონ თავიანთი ნამდვილი მიზანი, უსუსურობა და სხვადასხვა უთავმოყვარეო ყოველგვარი ზღვარგადასლავს ქცევა და ჩაგრულებად წარმოადგინონ საკუთარი თავი. ეტყობა ქვეყნისა და ნორმალური ცხოვრების მოტრფილად აღამიანების ნამდვილი ჭირისუფლობა მათთვის მიუღებელია, რადგან სიცრუის მანქანა უშედეგოდ თუხთუხებს აფრენის მოლოდინში.

დაბოლოს, აბსურდის თეატრის მოქმედ პირთა გაღივება საბოლოო დამარცხებისთვისაა განწირული. მალე დასრულდება ბელადომანიისა და წარსულში დაბრუნების მოსურნეთა ინტერეკული ღრინცელი. მე კი, ვიტყვოდი, „**რამეთუ კუდი ძაღლისა არ განიშართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს**“.

განსუფიქრეთ, „პარტიზარი, პარტიზარი“ — მარჯვენა ნაწილი, ინანაჟი მარჯვენა ნაწილი, მინც ინანაჟი მარჯვენა ნაწილი და მსოფლიო წიფი.

სამოგზალო იმედი, ჯანსაღო ძაბოებო მართო

მურმან კვარაცხელია, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, პროფ. არწივანიძე.



ყაზახეთის ტრაგედია გარე აბრეხის აქტია!

„ღღას კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელმწიფოების მეთაურობის მიხედვით, რათა ღაზიარება გაწვიონ ყაზახეთს ტერორისტული საფრთხის დაპლავაში. ეს უკვე სახელმწიფოს მიმდინარეობის პირის გამოტყობაა. ეს გარე აბრეხის აქტია, ეს ჩვენს მოქალაქეებზე თავდასხმაა“, — აღნიშნა ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ თოყაევამ.



აუშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ყაზახს ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდებს!

„აუშ ყურადღებით აკვირდება ყაზახეთში განვითარებულ სიტუაციას. ყაზახეთი ღირებული პარტნიორია. ჩვენ ვგმობთ ძალადობასა და ქონების განადგურებას და თავშეკავებისკენ მოვუწოდებთ როგორც ხელისუფლებას, ასევე მომიტინგეებს. ყველა ყაზახს ვთხოვთ, პატივი სცეს და დაიცვას კონსტიტუციური ინსტიტუტები, ადამიანის უფლებები და მედიის თავისუფლება, მათ შორის ინტერნეტ სერვისის აღდგენის გზით. ყველა მხარეს მოვუწოდებთ, საგანგებო მდგომარეობის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზა იპოვოს“, — ნათქვამია განცხადებაში.

რუსეთმა პატივი უნდა სცეს ყაზახეთის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას

ევროკავშირი აცხადებს, რომ რუსეთმა პატივი უნდა სცეს ყაზახეთის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. ევროკავშირმა ასევე მოუწოდა ყველა მხარეს თავშეკავებისკენ. „ძალადობა უნდა შეწყდეს. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ ყველა მხარეს თავშეკავებისა და სიტუაციის მშვიდობიანი მოგვარებისკენ. ევროკავშირი მზად არის და სურს მხარი დაუჭიროს ქვეყანაში დიალოგს“, — განაცხადეს ევროკავშირში.

ყაზახეთის ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოელი მოქალაქეების შესვლა შეაჩერა. ინფორმაციას ამის შესახებ უზბეკეთში ყაზახეთის საელჩო ავრცელებს.

ყაზახეთის ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოელი მოქალაქეების შესვლა შეაჩერა. ინფორმაციას ამის შესახებ უზბეკეთში ყაზახეთის საელჩო ავრცელებს. „საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო, ყაზახეთის ტერიტორიაზე უცხოელი მოქალაქეების შესვლა შეჩერებულია. ეს ეხება როგორც ფეხით გადასვლულეებს, ასევე ავიამომოსვლასა და ნებისმიერ სხვა ტრანსპორტს“, — განაცხადა უზბეკეთში ყაზახეთის საელჩოს წარმომადგენელმა. მასობრივი არეულობის ფონზე, ყაზახეთის ხელისუფლებამ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა, ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის საბჭომ გადაწყვიტა მიიღოს ყაზახეთში კოლექტიური სამშვიდობო ძალები გააგზავნოს. დღეს რუსეთმა ყაზახეთში სამხედრო ძალები გადაისროლა. კოლექტიური სამშვიდობო ძალების კონტინგენტი რუსეთის, ბელარუსის, სომხეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის დანაყოფები შედიან.

სამართლებლო საკონსულტო ყაზახეთში გეოგრაფიული საკონსულტო მოქალაქეებს უმზარება

ყაზახეთში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, ყაზახეთში საქართველოს საელჩო მუშაობას განაგრძობს ჩვეულებრივ რეჟიმში, ამოქმედებულია ცხელი ხაზი და საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: +7 (717+224-32-58). ამასთან, ყაზახეთში ინტერნეტისა და სატელეფონო კავშირის შეფერხებით მუშაობის გამო, თუ მოქალაქეები ცხელ ხაზზე დაკავშირებას ვერ ახერხებენ, მათ შეუძლიათ შეტყობინებები გაგზავნონ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: astana.emb@mfa.gov.ge.

„ამ დროისთვის, საკონსულტო ხაზზე ყაზახეთში მყოფ საქართველოს ყველა მოქალაქესთან. ყაზახეთში საქართველოს კონსულის ინფორმაციით, ყაზახეთში საქართველოს საკონსულტო დახმარებისთვის უკვე მიმართა ქართული ანსამბლის „ილორის“ ოთხმა წევრმა. საკონსულტო ძალისხმევით, ისინი ყაზახეთის დედაქალაქ ალმათიდან 30 კილომეტრის მოშორებით, უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს და ამჟამად მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. ანსამბლის ხელმძღვანელის, ბაჩანა მელაშვილის თქმით, ანსამბლის წევრები უზრუნველყოფილნი არიან საკვებითა და საჭირო მედიკამენტებით. კონსულტის განცხადებით, საკონსულტო დახმარებისთვის მიმართა ყაზახეთში მცხოვრებმა საქართველოს კიდევ ერთმა მოქალაქემ, რომელიც ამჟამად დასავლეთ ყაზახეთის ქ. ატირაუშია გადაყვანილი და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სასტუმროში გადაყვანა ასევე აქტუალს აერთობორტში ჩარჩენილი საქართველოს სამი მოქალაქე...

ამ 60860ს პირველი გამოცემიდან თითქმის ოცი წელია გასული. გიორგი ლეონიძის შემოქმედებაზე დაკვირვება და უჩინარ-გაზეთებში ცალკეული ესეების გამოქვეყნება ამ ხნის განმავლობაში არ შემოწყვეტია; საკმაოდ მასალა დამიგროვდა და გადაწყვიტე შემეცხო მოგონებებისა და წერილების ძველი კრებული, ერთგვარად გადაამხალისებინა. ძვირფასი, დაუვიწყარი თენგიზ მირზაშვილის მიერ სიყვარულითა და დახვეწილი გემოვნებით გაფორმებული წიგნი, ვანო ჩხარტიშვილის თანადროებით, 2003 წელს გამოიცა. ბატონ ვანოს ერთხელ ვუთხარი, რომ აწყობილი ტექსტის გამოსაცემად მისი მხარდაჭერა მჭირდებოდა. აღარც შემისხებია, გამომცემლობა „თეთრი გიორგის“ თავიდან, ჩვენს ცნობილ მთარგმნელს, გივი კვიციანი-ვილს ისე გადაურიცხა დასახელებული თანხა და ყველაფერი მოგვარდა. დაუხმარებლად, ხელის გაუმართავად, არც მეორე გამოცემა გამოდის, მაგრამ ქართული მწერლობის დიდად მოყვარულმა და დამფასებელმა, იმ კაი კაცმა, ვინც ეს სამადლო საქმე იკისრა, თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა.

პოეტის დაბადებიდან მეცხრე წელი რომ სრულდებოდა, „გიორგი ლეონიძის თელავის საზოგადოებამ“ პრეზიდენტ ედიუარდ შევარდნაძეს გაუგზავნა „ლია წერილი“, სადაც ნათქვამია ამ დიდი შემოქმედის წარუდინებელი ღვაწლი, „ხელთუქმნელ საგანძურზე“, რითაც მან ჩვენი ლიტერატურა აამაღლა. იქვე სინანულითაა აღნიშნული, რომ ვარდაცვალედიან ოცდაათი წელი გავიდა და მისი სახელის უკვდავსაყოფად თითქმის არაფერი გაკეთებულა. მართლაც ხელყარვილები შევხვდით განსაკუთრებული ზემოთ აღსანიშნავ იუბილეს და უთუოდ სამართლიანი იყო წერილის ავტორთა გულისწყრომა: „აღმათ, თანამედროვეთაგან მევრს არ რეგნია ასეთი დაუმსახურებელი დაუფასებლობა“. უპირატესად, აუხსნელი, დასანან გაუგებრობად ისაა დასახელებული, რომ მისი უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობა სრულად არ გამოცემულა.

იმ დროის მერე ერთი იმდენი კიდევ გავიდა, მალე სამოცი წელი შესრულდება, რაც გიორგი ლეონიძის ნეშტი მთაწმინდის მიწას მივადარებ და ის საყვედური კვლავ პასუხგაუცემელ საყვედურად რჩება, ვერა და ვერა მოება თავი პოეტის ტომეულთა აკადემიურ გამოცემას, ურომლისოდაც მისი შემოქმედების ყოველმხრივი, საგულდაგულო შესწავლა შეუძლებელია.

ახლანდელ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას საამისო შესაძლებლობა არ გააჩნია. ასეთი პროექტის განხორციელებას უთუოდ ხელისუფალთა მოწადინება, სახელმწიფო ზრუნვა ესაჭიროება.

გიორგი ლეონიძის შემოქმედებას, უანრობრივი თვალსაზრისით, ყველაზე სრულად და მრავალფეროვნად მოიცავს 2000 წელს ლიტერატურის მუზეუმის მიერ იმა ორკონიკიდის რედაქტორობით გამოსული დიდი წიგნი „ოლე“. შედგენისას დირექტორს ვებმარეობდი. ვმონაწილეობდი ლექსების შერჩევაში, თუმცა ზოგი რამე არ დამიყურა. „ნატურის ხეს“, ჩემივე მოთხოვნით, დაემატა „ამაზის ვესტატი ლაფაჩისა“ და „პატარა ტამალია“. ასევე, მე ვერჩიე რედაქტორს, შეეტანა უჩინარ „მნათობში“ გამოქვეყნებული პატარ-პატარა დაკვირვებანი - „ნამსკრევი“. დაუხსნელი რამდენიმე მნიშვნელოვანი წერილიც, მათ შორის, პოეტის სიყვარულის მეგობარზე, ლადო გუდიაშილზე. წერილებში რატომღაც შეტანილია 1917 წელს დაბეჭდილი ლექსი „თამარ!“ – ქებათა ქება თამარ დედოფლისა, რაც გაუგებრობად უნდა ჩათვალოს. იგი თავისი აღნაგობით, წყობით, სულისკვეთებით და შინაარსითაც ამკარად თავისუფალი ლექსია.

პოეტის წერილების მოსაძიებლად კვლავ უნდა ვაგრძელებდეთ მოძიება და ცალკე კრებულად გამოიცეც, რაც მის სიცოცხლეში, 1959 წელს გამოცემულ წიგნში - „გამოკვლევები და წერილები“ – არაა შესული. ამის გაკეთება უთუოდ სარგებლის მომტანი იქნება.

„ოლე“-ში შეტანილი „პირადი წერილები“ და „სიტყვები“ მუზეუმის თანამშრომლებმა მოიძიეს. ორივე ეს განყოფილება ნაკლებფასად გამოიყურება. მათი შევსება აუცილებელია (ეჭვი არ მეპარება, მრავლად აღმოჩნდება), მეტი რამე მოთვალის, გიორგი ლეონიძის პიროვნებაზე უკეთ წარმოჩინდება. ჩვენი კლასიკების დანატოვარის შესასწავლად არცაა საჭირო ბიძის მომცემი საიუბილეო თარიღები, მათი მემკვიდრეობა სრულფასოვნად რომ ავითვისოთ, გამუდმებით უნდა ვმუშაობდეთ. კვლავაც გვიჩვენს წუხილის გამართლება, ვინაიდან დღემდე, დაუხარისხებელი, დაუმუშავებელია სხვადასხვა ადგილას გაფანტული გიორგი ლეონიძის

არქივი, რომლის მოწესრიგების შემდეგ მეორე საინტერესო რამ გამოვლინდებოდა.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო – ახალგაზრდა ნიჭიერმა მეცნიერმა, ქართული ლექსის ალოლიანმა მკვლევარმა, ნათია სიხარულიძემ გამოცემლობა „ინტელექტს“ დასასტამბავად გადასცა და მალე გამოვა „150 ამაზი“ გიორგი ლეონიძეზე, რომელშიც წარმოჩენილი იქნება პოეტის ესოდენ მიმზიდველი ადამიანური თვისებები, მდიდარი სულიერი სამყარო, განუმეორებელი ლირიკის მადლი, მომხიბლობა.

წლეულს, გამომცემლობა „გაკამის“ ხელმძღვანელებმა ბონდო მაცაგერიძემ და რუსუდან მოსიძემ ორიგინალურად ჩაიფიქრეს, კიდევ განახორციელეს და მკითხველს მიწაწაწოდეს „ნატურის ხის“ ულამაზესი სასაჩუქრე გამოცემა. წიგნი ილუსტრაციებზეა ჩართული, თითოეულ მოთხოვნილ მისადაგებული, თენგიზ მირზაშვილის ნამუშევართა ფერადი რეპროდუქციები. დიდი მწერლისა და დიდი მხატვრის შემოქმედებითა შეხვედრამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. ეს ისეთი წიგნია, რომლის ხელში ადგმა და გადაფურცვლა ჭეშმარიტ სიხარულს მოგანიჭებს.

ბოლო წლების მეშუარულ ლიტერატურაში ყველაზე გამორჩეულ ქმნილებად მესახება რამდენიმე ვეგა, ფანტასტიური რომანის გადმომქართულელების, ქართული სიტყვის წესდარღვევითი ჯანაღების, გურამ გოგიავილის ესეი-მოვლენა „ჩემი გიორგი ლეონიძე“, რომელიც რამდენიმე თვის წინ გამბედავ იბეჭდებოდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ჯერ წიგნად არ გამოსულა. ვურამს ათეული წლების მანძილზე გულითადი მეგობრობა აკავშირებდა „ყოფილის პაემის“ ავტორთან და იმდენი რამე აქვს მოსაგონებელი, მოზრდილი ტომივ ვერ დაიტევდა.

თუ რა ძალისა და სიდიდის მოვლენად არის მიჩნეული გიორგი ლეონიძე, ეს პირველსავე ამაზსში იგრძნობა. ყულზე გორგალმობჯენილი, თავდაცვ დამტყვევებელი მესიტყვე, ვერ იკავებს მოზღვავებულ მღელვარებას და ჩვენც ამ გაქანებულ დინებას, ძნელად მოსათოკავ რიტმს უნდა მივყვეთ:

„ერთადერთი, რაც ამეყვინდა, უფრო სწორად, სამყაროში, არც ჩერდება, არც ბერდება და არც კიდევ არ მოაგზავდება, მარად მედინი დროა, რომლის სივრცეშიც ხმების

ლი. უნივერსიტეტის რკინის მესრიდან ძირს ვეშვებოდი, გმირთა მოედნისკენ. თავში რამდენიმე სტრიქონი გაკრთა; გონებაში ერთმანეთს გადავამი და მერე ჩავეწრე. ამ ნაუკმაბთევი სტრიქონების წარმომავლობაზე სათაურის („ვერის ხევის დაღმართზე“) მიანიშნებს:


ვერ მოგმხდარა ვერაფრით –
 დამე მტამს თუ დღე მტამს,
 ის კი ვიცე, სიყმაწვილის
 არაფერი შემტამს.

ერთი უცნაური და მოულოდნელი თვისება მაქვს - როცა რამეს ვკითხულობ, ძალაუნებურად, ყოველთვის პარალელურად ვეძებ და თუ მივაგენი, წიგნის ფურცლის არშიებზე ვინიშნავ. ეს ლექსმაც იცის, მუდამ ცდილობ, რამე რამეს მიამსგავსო; ხშირად იმასაც ლამობ, მკვეთრად დაპირისპირებულ საგნებსა თუ მოვლენებს შორისაც საერთო ნიშანი აღმოაჩინო. ეს კონტრასტის უძველესი და ყველგან გამოსადეგი ხერხია. გარკვეული შემზადების მერე ვიწყებ წერას და რადგან ერთდროულად მევე რალაცას მივედ-მოვედები, ჩემგანვე მოქსოვილ მადეში გავებმეხი ხოლმე და დაწყებულს შუა გზაზე ვტოვებ. არაერთი ლექსი, პოემა და პროზა (დოკუმენტური) ღვთის ანაბარა მაქვს მიტოვებული. წლები ვადის და აღრინდელ ჩანაფიქრს აღარ ვებრუნ-

ეზარ
 კვიციანიძე:

ქართული
 სიტყვის
 ბაზირი

ვის, ამჟამად დანგრეული, გაპარტახებული წყნეთის ავარაკის რიკულემზე ხის ოსტატს ფრინველები გამოაჩარხებინა. ფრინველებზე რამდენიმე საუცხოო ლექსი აქვს და ერთს, მცირეს, „ოქროს ფრინველი“ შქვია. პირველ სტროფში ნათქვამია, რომ შვერიდან ესმის „ოქროს ქნარის სიმების უღერა“, მაგრამ ვერაფრით მოიხელთა ეს ხმა, წამსვე გაუსხ-



გიორგი ლეონიძის
 წინასიტყვი



თვინიერ, ძველი და ძველთუძველესი გამოსახულებანიც რაილემენ, ჩვენი ფრიად და ფრიად უძვირფასესი ადამიანების გამოსახულებანი. ამ ძვირფას ადამიანთა გამოსახულებათა შორის ხალხის სიყვარულმისჯილი, როგორც იყოლა, ისევე იყ მებუმუნება ჩემი გიორგი ლეონიძე, რომლისთვისაც „სიტამბუკე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“ და კვლავაც „წრილებში უნდა გახვევა, თავზე ფურცელი გადაეყაროს, იწვიმოს ლექსმა ივრის ლერწმიდან და მოასმენდეს პირველ სიყვარულს...“

მრავალი მოგონებაა ჩაწული ამ თვალმოუწყვეტლად საკითხავ ესეიში.

ჩემი მხრიდან ამას ვიტყვით: როცა ვეება ტივად შეიკვრება და ცილკე წიგნად დაიდება რჩეული მოგონებები და წერილები გიორგი ლეონიძის სხიდაფენილ პიროვნებაზე, მის დიდსა და მარად ცოცხალ შემოქმედებაზე, როგორც ოლეა „ხეთა წინამძღოლი“, ყოველთა ნაწერის სათავეში გურამ გოგიაშვილი გახსენებებს ჩავაყენებდი... ასე წელი რომ შესრულდა გიორგი ლეონიძის ამ ქვეყნად მოვლინებიდან, დილიდანვე მასზე ვფიქრობდი და მინდოდა რამითი გამომეხატა მისდამი ჩემი სიყვარუ-

ლები. მგონია სულ ვიცოცხლებ ამ ათასი საცდურითა და მახევით მოფენილ ქვეყანაზე, მაგრამ სასტიკად ვცდები და უაზროდ გახარული წლები (უპირატესად, ახალგაზრობისა), როცა იქნება, ამომართყამს ცხვირში. ასევე მკუთხინს.

წერისას ალოცს, გუმანს მინდობილი, არაცნობიერში მოფათურე, წინასწარ ვერ ვანჭვრეტ, მესხიერების ჩამნელებული, დროებით მიჩუმებულე კუჭელები სად გავტყორცნის, საითვენ ვეგაქანებს („სადაურსა სად წაიყვან...“), ძიების, მისაკვლეველის წედომის დაუკვებელი უინი. გიორგი ლეონიძისაც სწორედ ამან ათქმევინა: „ლექსი სად დაიხსება, სად შეწყვიტვლებს სურვილი?“ დასაწერ ლექსს მეძემარებით უნდა ჩაუხაფრდე, ნაბულზე მყოფმა აულო კვალი და ბოლომდე მიჰყვე.

ასევე ხშირად მიფიქრია და დამიწერია კიდევ - გიორგი ლეონიძის მუღწეველი ოცნება ოქროს ფრინველად მოველინებოდა ხოლმე, მის სახსლოვს გაიშუილებდა და ისევ ლაყვარლებში მიიმალეობდა. საერთოდაც, ძალიან უყვარდა ფრინველები (გავისხენით მის ლექსებში აფრთხილებული გნოლი, ციცარი, ხობობი, ნარჩიტა...) და თა-

ლთა, განილგებო. უეცარმა გაღვებამ სინანულის მძაფრი შეგრძნება დაუტოვა.

...ლამის იღუმალ მნათობთან, მთვარესთან დაკავშირებულ გიორგი ლეონიძის ამ მეტად უცნაურ ხატზე აღრეც მაქვს დაწერილი, მაგრამ, პარალელთა გამო, კვლავ მინდა მივებრუნდე და უფრო სხვაგვარადაც შევხედო. პოეტთა უმრავლესობის მსგავსად, გიორგი ლეონიძეც ზღვარდაუდებლად შეყვარებულია მთვარეზე და მთელი სიცოცხლის მანძილზე, არაერთ ლექსში მოუძებნა შესაფერი ადგილი, უმეტესად, სოფლურ გარემოში. შეგვიძლია გავიხსენოთ ყივჩაღეთის მხარეს, გადაშლილი, უკიდვანო ტრამალის გადაშტაფთებელი „მოზლოვის მთვარე“, „სოფლის გუმბი გაჩრილი მთვარე“, მაგრამ ის ივრისპირა გაზაფხულის მთვარე თავისი იერით ყველასგან განიჩევა.

ცოტა შორიდან მომიწევს დაწყება. ჩემს უახლოეს მეგობართან, გივი გეგეჭკორთან ერთად, „ნაკადუმში“ გამოსაცემ მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგიის შესადგენად ვმუშაობდი. ერთ-ერთ გაყვილემებულ გაზეთში (ამას აღმოჩენას ვერ დავარქმევ), ჩავაწყდი გიორგი ლეონიძის განზრახული პოემის ნაწყვეტს, რომლის სათაურია „უტრუხუნე“. ექვსი სტროფის ქვემოთ ამოვიკითხე ავტორისეული შენიშვნა: „უტრუხუნე - ვახელი ყაჩაღი, ტყის ძმობის“ წევრი, მოკლული 1912 წელს. გიორგი ლეონიძეს, ტყეზე სიყვარული შეყვარებულს, „ტყის ძმობის“ ყველაზე თვალსაჩინო, დალუპული ახალგაზრდა წევრისადმი, ცხადია, სიმპათია ექნებოდა და ამიტომაც გადაწყვიტა მასზე პოემა დაეწერა. ეს არის მხოლოდ საზარდარისათვის განკუთვნილი შესავლის ნაწილი. პოემა, როგორც ჩანს, ორ ხმაში (საზანდარი და მასინძელი) წარმართებოდა და რამდენადმე მეტყვირისეული „არსენის ლექსს“ ემგვანებოდა.

დასანანია, რომ 1928 წელს დაწყებული ამ პოემის ხორცშესხმა, მიზეზთა გამო, გიორგი ლეონიძის არ დასცლდა, რასაც, ალბათ, მაშინდელმა, ნაძალადევი დაწყებულმა კოლექტივიზაციამ და პატრიარქალური სოფლის რღვევამაც შეუშალა ხელი. თავისი შედევრების მეტი წილი გიორგი ლეონიძემ სწორედ იმ ხანებში შექმნა, ნიჭის უმძლავრეს აღმაშობას განიცდიდა და საზანდარიც (იგივე პოეტი) ამიტომაც გალაღებულად ამბობს:

სიტყვავ, დაისხი ზურმუხტი, პირველი ნამხარია! გადაწვენილი ვაზივით გავეშლილვარ, გამხარია!

ვაჟა-ფშაველას არ იყოს, ვიორგი ლეონიძეც გაზაფხულის დადგომას, ზუნების ძალთა აღორძინებას მუდამ შეეხაროდა და აქ იმითმაც არის ნახსენები „პირველი ნამხარი“ (ტოტჩევის ლექსის იმ სტროფის ამის გამო იხსენებდა ხოლმე). ეს სტროფის მოწიფულობის უამს დაწერილ ლექსშიაც გახმანდა: „ცაში პირველი ნამხარია“.

გადაწვენილი მაქვს, გალაკტიონ ტაბიძესა და ვიორგი ლეონიძეზე მცირე ესეი დაწვენილი. ძნელად მოიძებნება სხვა ორი დიდი პოეტი, ერთმანეთისგან თავიანთი მუნიციპალიტეტით, ხასიათით, ტემპერამენტით, მიღწევილობით, შინაგანი სამყაროთი, გამოსახვის ხერხებითაც ასე განსხვავებული რომ იყოს, მაგრამ გამიჩნდა სურვილი მათი შეპირისპირების და არა დაპირისპირებისა. ისინი ერთმანეთს ზედმეტად ავსებენ და ამიტომაცაა, ქართულ პოეზიის ორივე მათგანი ასე რომ ეძვირფასება. განსხვავებათა გვერდით, მინდა გამოვავლინო ის საერთო, რისი პოვნაც მათ შემოქმედებაში შესაძლებელი იქნება. ორივეს სასტიკი, უმკაცრესი ეპოქაში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. ამდენად, შეუძლებელია, ერთნაირი ტვივილები არ განეცადათ.

გალაკტიონ ტაბიძეს თითქოს არ აკლდა ყურადღება, რევალიები, მაგრამ, ეჭვებით შეპყრობილმა, ერთგან მაინც დაიჩივლა:

თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, მე მოვევლები, როგორც პოეტს შექვეყნის.

დანაქადი კიდევაც შეასრულა. მისი უკვდავებაში გადასვლა თუმცა თავზარდამყემი, მაგრამ მაინც ღირსეული იყო. ანსებობს ასეთი გამოთქმა „პოეტის კატასტროფა“. მისი

თავიდან აცილება თითქმის არცერთ ნამდვილ პოეტს არ ძალუძს.

ვიორგი ლეონიძესაც არ დაჰკლებია სიცოცხლეში პატივი, მთავრობის, ჯილდოები, მაგრამ მაინც ზევრ რამეზე იყო გულნატკენი. ეს ყველაზე მეტად სიცოცხლის მიწურულს გამოამჟღავნა, მაგრამ აღრევე აქვს ლექსად ნათქვამი:

სიცოცხლეს ვერვის დავესესებმი, თუ სამშობლოსგან გავიწირებმი.

სწორედ ეს სტროფონები გაიხსენეს, პოეტის გარდაცვალების შემდეგ მისდამი გამოჩენილი უყურადღებობის გამო განაწყენებულმა, მისი კუთხის, მშობლიური კახეთის მკვიდრებმა, იმავე „ღია წერილში“ დაწერეს: „ვიორგი ლეონიძის გაწირვა სამშობლოს გაწირვაა. ჩვენ ვერც ერთს გავწირავთ და ვერც მეორეს“.

წინასწარ ვერ ვიტყვი, როგორი გამოვივა ჩემ მიერ ჩაფიქრებული ესეი, მაგრამ ყოველნაირად ვეცდები, საჩოთირო, ამ ორწმინდა სახელს ჩრდილს რომ მიაყენებს, არაფერი გამეპაროს.

პირველი გამოცემის მოკლე წინათქვაში („ავტორისგან“) სინანულით არის აღნიშნული, რომ წიგნში ცოტა რამეა ნათქვამი ვიორგი ლეონიძის ყველასგან განსხვავებულ პროზაზე. სამწუხაროდ, ეს სინანული ვკლავაც სინანულად მრჩება და ვაპირებ, „ნატვრის ხეს“ საველდაველოდ მივუზრუნდე. იქ დაბინავებულ შედეგებზე საგანგებო დაკვირვება უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებს, მაგრამ, ამასთანავე, იოლი შრომა არ იქნება.

გაცნობიერებული მაქვს - მეორე გამოცემის ცალკეულ წერილებში ზოგი რამ განმეორებულია, მაგრამ ასეთი შემთხვევები დაუდევრობისა და მესხიღვრების დაქვეითების მზალი არ გახლავთ. აღრე განხილული ტექსტების სხვა კუთხით წარმოჩენა დაძვირდა და ეს ამან განაპირობა.



სა, სა, სა!..

მალე ქართველი ხალხი, თვით ნასიონალები და მათი უღლეური ტელევიზიების კი ერთად ატახან ხარხარს მიქას ბოღვეზზე

საძარტველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამოქალაქო საზოგადოებას მიმართავს და მათ სთავაზობს, დაუბრუნდნენ კორუფციონერთა და ადამიანის უფლებათა დამრღვევთა „შავი სისი“ იდეას...

სააკაშვილის თქმით, უნდა შექმნან იურისტთა ჯგუფი, რომელიც აღნიშნული ადამიანების დანაშაულის შემადგენლობას მოიკვლევს, მტკიცებულეებს მოაგროვებს და თითოეული ქართველის საჯაროდ უნდა გამოაქვეყნოს.

„ჩემი მიზანია სამოქალაქო საზოგადოებას დაამრღვევთა „შავი სისი“ იდეას. ის ადამიანების, განპირობებულთა ძირითადად დაუსჯელობის სინდრომით. მე გთავაზობთ, დაგუბრუნდეთ კორუფციონერთა და ადამიანის უფლებათა დამრღვევთა „შავი სისი“ იდეას. ის ადამიანების, ვინც იარაღი ჩაუდო არჩევნების პერიოდში ყოფილ პოლიციელებს, ვინც მოიპარა დიდი რაოდენობით ხალხის საბიუჯეტო ფული, ვინც გაყალბებით შეკერა კარტოგრაფების საქმე, ვინც მიიღო მონაწილეობა ჩემ მიმართ არაადამიანურ მოპყრობა-

ში, უნდა შეიყვანონ ამ სიაში. ჩვენ უნდა შევქმნათ იურისტთა ჯგუფი, რომელიც მათი დანაშაულის შემადგენლობას მოიკვლევს, მტკიცებულეებს მოაგროვებს და ამის შემდეგ ჩვენ ეს საჯაროდ უნდა გამოვაცხადოთ, ასევე, უნდა მივმართოთ, დასაჯელთის საელჩოებს, არ გასცენ მათზე ვიზები და შემოიღონ პერსონალური სანქციები.

ამ ხალხს: მოსამართლეებს, პროკურორებს, თანამდებობის პირებს, ვინც გაძარცვა საქართველო და ვინც ამდენ უსამართლობას ჩადის, მოქალაქეები ქუჩაში უნდა სცნობდნენ და შესაბამისი რეაგირება უნდა ჰქონდეთ, როგორც ქვეყნის დამაქცევლებსა და თითოეული ქართველის კეთილდღეობის მტერზე.

ურნალისტებს უკვე საკმარისი მასალები აქვთ შეგროვებული. მაგალითად, იმაზე, როგორ აუხსენილად გამოდრდნენ ჩემი საქმეების პროკურორები. დადგა დრო, რომ ისინი კი არ გვადანაშაულებდნენ, არამედ ჩვენ, როგორც საზოგადოებამ, შევხედოთ მათ თვალებში. შევადგინოთ სპეციალური საიტი და დავწეროთ მათი საბრალდებო დასკვნა“.

P.S.

რის თქმასაც აქ ვაპირებ, იმას ლექსთან, პოეზიასთან ნაკლები კავშირი აქვს, მაგრამ საქვეყნო საწარმოებზე კი მინდა გამოვთქვა ჩემი გულსიტყვილი. სამშობლოს ზედი მუდამ აღელვებდა და აფორიაქებდა გიორგი ლეონიძეს. იგი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ათასჯერ უფრო მძაფრად და ხატოვნად გადმოგვიწვლიდა საქართველოს ძნელბედობის მიზეზებს. მისნაირ პიროვნებაზე ამჟამად მხოლოდ ნატვრა შეგვიძლია.

დიდი ხნიდან ცნობილი ქვეშაობილება - ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს. მე უკვე ხანდაზმული, ჩემს მოვალეობებს არ გავეცდები, მაგრამ როცა ხედავ (ეს კი ათეული წლებია გრძელდება), რომ სამშობლო, ჩვენივე უგუნურობის გამო, თანდათან დნება, ხელიდან გვეცლება, ყოველგვარ გარჯას აზრი ეკარგება, სასწარმვეთა გიპყრობა.

ერთი რამ ნამდვილად მოხდა სასიკეთო, იმედის ჩამწვრთვა: საქართველოს დამანგრეველი და იავარცხოველი, ნაპრეზიდენტალი, შხამით გასისინებული გველეშაპი ციხის საკანშია შემწყვედული. ყველას ციხისკენ რომ ერეკებოდა, ასახირობდა, სოცავდა და „წულოცანი ტოლერანტობა“ გამოაცხადა, ათასობით უმძიმესი დანაშაულის ჩამდგნა, ახლა თვითონ იწვინოს, როგორი გასაძლება ციხის ყვედებში ყოფნა.

მისი საშინელი მმართველობის ცხრა წელი, საქართველოს უახლეს ისტორიაში, ყველაზე სამარცხვინო იყო და არაადამიანური კომარტულით, გაუსაძლის ციხეებში პატიმართა გაუგონარი წამებით, დანტე ალიგიერის კალმით დახატულ, „ცხრა წრედ“ დაყოფილ „ჯოჯოხეთს“ თუ შეეფარებოდა.

რამდენად უნდა გქონდეს განწვეტილი შუბლის ძარღვი, რომ მისნაირ მონსტრს, ყოველმხრივ საძაგელ არსებას, პირწავარდნილ ავანტიურისტს, მძარცველს, „უსამართლოდ დევნილი“ და „პოლიტიკატიმარი“ უწოდო. ჩვენს მართლმსაჯულებაში არ არის გათვალისწინებული სასჯელი, მის მიერ ჩადენილ უსაშინლეს დანაშაულებათა გრძელ წუსხას რომ შეეფარებოდეს.

ყველაზე ზუსტად, ამომწურავად და ეჭვშეუტანლად ამ ზნედაცემული, შეშლილი და ბოროტი არაკაცის მოლაღატური და ლაჩრული ქმედებანი ახლანდელმა ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ლარიაშვილმა შეაფასა. ადრეც მითქვამს და გავიმეორებ - ნაცემორაობა არის საქართველოს სხეულზე ხელოვნურად გაჩენილი ავთვისებიანი სიმსივნე და თუ არ ამოიკვეთა, ერთიანად გადაგვიყოლებს. მარტო ერთი მთავარი დამანაშაულის დაბატიმობა ქვეყანას ვერ დააწვინარებს, გვერდით უნდა მიუსვან მის დანაშაულებათა მონაწილე ყველა მკვლელი, ჯალათი და ავსული. ეს ნადირთა ხროვა (არ მინდა გვარები ჩამოვთვალო, ისედაც ცნობილი და გაშიფრულია მათი ვინაობა), უმკაცრესად უნდა დაისაჯოს. ერთხელ და სამუდამოდ, საქართველოში წერტილი უნდა დაესვას კერპთაყვანისმცემლობას, რაც დაბალი შეგნების ნიშანია. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, რა საშინელებაც დაგვმართა ამ სიმანხინჯემ, ჯერაც არა გვაქვს განსჯილი და გაცნობიერებული.

ბევრი რამეა საფუძვლიანად მოსაგვარებელი. სამარცხვინო, ამაზრზენი და მოუთმენელია, არაფრით გამორჩეულ მეთავისეთა, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნველთა ფიქსუნებაში ცხოვრება, როცა ხალხის უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებას განიცდის.

ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს - თუ ასე დაცოტავებული ჩვენი ერი არ გამრავლდა და ქვეყანაში რამდენადმე შეძლებული საშუალო ფენა არ შეიქმნა, ქართული სახელმწიფო წელში ვერ გაიმართება, ვერც კულტურასა და მეცნიერებას განვავითარებთ, ყველაფერი ჩაკვდება. არ შეიძლება ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდეს. სიღარიბის დაძლევაზე ლაპარაკსა და დაპირებებს ხელშესახები შედეგი უნდა მოჰყვეს.

სამოცდაათწლიანი ტოტალიტარული რეჟიმის ურწმუნობამ როგორ დასცა და გადაგვარა ადამიანები, ყველამ გამოცვადეთ. არ მივცეთ უფლება ბნელ, ბინძურ ძალებს, ჩვენს მართლმადიდებულ ეკლესიას და ბრძენ პატრიარქს გამოუდგებოთ უტყვედნენ. სასისხარული, დამაიმედებელია, რომ ისტორიის ძნელ გზაჯვარედინზე, უფლის ნებას მინდობილმა, მრავალგზის ნატანჯმა ქართველმა ხალხმა სიკეთის, სიყვარულისა და სიცოცხლის გზა აირჩია.

1 ოქტომბერი, 2021 წელი

საქმის საბანგაბო განსხადავა

ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების ტარიფები არ გაზრდილა!

საძარტველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) საზოგადოების სწორი ინფორმირების მიზნით, კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების ტარიფები არ გაზრდილა.

მათივე ცნობით, 2022 წლის პირველი იანვრიდან ტარიფები არ შეცვლილა და ძალაშია კომისიის მიერ წინა პერიოდში მოქმედი სამომხმარებლო ტარიფები. როგორც კომისიაში აცხადებენ, ტარიფების ზრდა არ განიხილება.

„პოლიტიკური პარტიები და სხვადასხვა პოლიტიკური პირები კიდევ ერთხელ ცდილობენ, რომ საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში და საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გამო, მოსახლეობას აწვდიან ცრუ ინფორმაციას“.



რეაქციები



„აჭარაბეთის“ პერსიით

„სილქ ფაქტორი სტუდიაში“ სეზონის მთავარი სპორტული დაჯილდოების „adjarabet awards“-ის ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიებაზე 2021 წლის საუკეთესო ქართველი სპორტსმენები, და, არამარტო, გამოვლინდნენ.

„აჭარაბეთი“, როგორც ინოვაციური კომპანია, მუდმივად გამოირჩევა სიახლეებით და ქართული სპორტის განსაკუთრებული მხარდაჭერით. აღნიშნული დაჯილდოებას სწორედ სპორტის მხარდაჭერის ნაწილია, რადგან კომპანიამ საკუთარი ინიციატივით შექმნა მთავარი პროექტი „adjarabet awards“, რომელიც ნელს პირველად გაიმართა და რომლის მიზანია სწორედ სპორტსმენების, სპორტთან დაკავშირებული ადამიანების მოტივაცია და ხელშეწყობა.

„adjarabet awards“ პროექტი რამდენიმე კვირის წინათ დაიწყო და სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე adjarabetawards.com-ზე სპორტის ყველა გულშემატკივარს შესაძლებლობა ჰქონდა მიეცა ხმა მისთვის სასურველი ნომინანტებისთვის. პროექტის ფარგლებში რვა ნომინაცია იყო, ხოლო თითოეულ ნომინაციაში ხუთამდე ნომინანტი წარადგინეს. ხალხის ხმათა უმრავლესობით გამოკვეთილი ორი ნომინანტიდან, თითოეულ ნომინაციაში, პროფესიონალებს გან დაკომპლექტებული ჟიურის წევრებმა დამოუკიდებლად გამოავლინეს გამარჯვებულები.

კომპანია „აჭარაბეთი“ ორგანიზება გაუწია დაჯილდოების ცერემონიას და საზეიმო ვითარებაში გამარჯვებულ სპორტსმენებს განსაკუთრებული, მათ შორის ფულადი პრიზები გადასცა.

„adjarabet awards“ 2021 წლის ლაურეატები განდნენ: წლის საუკეთესო სპორტსმენი – ლაშა ტალახაძე (ძალოსნობა). წლის გუნდი – სპორტიმედიის კომუნატი ნაპრემი. წლის აღმოჩენა – სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა). წლის მსაჯი – ნიკა აბაშვილი (რაგბი). წლის მომენტი – გიგა შიქაძე (ჭიკაძე VS ბარბოსა). წლის მწვრთნელი – გიორგი ასანიძე (ძალოსნობა). წლის პარა-სპორტსმენი – ირმა ხეცურიანი (ფარიკაობა). წლის დაპირისპირება – გიგა შიქაძე (ჭიკაძე VS ბარბოსა).

ღირსეული



გულშემატკივარს კარგად ახსოვს ის დაუვიწყარი პერიოდი, როცა თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა თამაშებს უფრო მეტი ქომაგი ვსწრებოდა, ვიდრე საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ზოგიერთი გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრთა შესვლამდე. დიას, უმცროსი მიხეილ მესხი, ვაჟა ჟვანია, გოჩა ჯოხაძე და კომპანია ისეთ სპექტაკლებს დგამდნენ, თქვენი მოწონებული და მათი ბრალი სრულიადაც არაა, ყიფიანის, შენგელიას, გუცაევის,

კორიფთო წინამორბედი

ჩივაძის, დარასელიასა და მაჩაიძის ჩრდილში რომ მოუწიათ კარიერის საუკეთესო წლების გატარება, თორემ, დარწმუნებულნი ვართ, გაცილებით მეტს მიაღწევდნენ.

სწორედ იმ რეზერვისტთა ღირსეული ლიდერი გახლდათ აფხაზური საფეხბურთო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მოგვიანებით ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე „ცხუმის“, „გურჯაანის“, „ბერეანის“, „შეგარდენისა“ და „თეთრი არწივის“ ყოფილი და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგოლ ცაავა, რომელმაც, თამაშად შეიძლება ითქვას, რომ დროს გაუსწრო („სსრკ ჩემპიონატებში 182 მატჩი, 33 გოლი“).

მართლაც, ვინც მისი ინდივიდუალური ოსტატობით ტკებოდა, დაგვეთანხმება, რომ ის მანერა, რომლითაც მოგვიანებით ქინკლაძე და თვით მესი გვაჯადოებდნენ, თითქოს ჩვენთვის უკვე გადაშლილი ფურცელი იყო.

ამასობაში თვალსა და ხელს შუა მოუკეცავს ათწლეულები და შობას საიუბილეო თარიღით ეგებება.

მწვანე მინდვრის რაინდსა და სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებგადატანილ უღალატო პიროვნებას, პირველი ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულს საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ 60 წელს.

მრავალწამიერ, ბრიზა

საზოგადოებრივი სტუდია

კლოდ სორელი: „ქართულ რაგბის ტაჟისი განსაკუთრებული ილენობა უნდა ჰქონდეს“



საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის იოსებ ტყეშელაშვილის ინიციატივით პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭო იმსახურა, რომელიც ვებ-გვერდზე მონაწილეობის საშუალებას უზღოვებდა. საბჭოს პრეზიდენტი იოსებ ტყეშელაშვილი 1996 წელს ჩამოვიდა, ქართველ სპეციალისტებს და მათთან ერთად რაგბის ანი-ბანი შეასწავლა, ქართველ ლეგიონერებს გზა გაუხსნა ფრანგული კლუბებისკენ და საქართველო პირველ, 2003 წლის მსოფლიო თასზე გაიყვანა.

სწორედ ამ დამსახურებისთვის და ქართული რაგბის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ნომინირებული საქართველოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა კლოდ სორელს უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დაწესებულება უმაღლესი რაგბის კავშირის ორდენის კავალერის წოდება უბოძა და ქართული პასპორტიც გადასცა.

71 წლის სპეციალისტი რამდენიმე დღის წინათ თავად ეწვია საქართველოს და ვეტერან მორაგებებთან ერთად ისებ ტყეშელაშვილს მრჩეველთა საბჭოს ფარგლებში პირველად შეხვდა. „ბაზაშვილის საქართველოს! ძალიან მიყვარს საქართველო!“ – ამ სიტყვებით მოგვესალმა კლოდი, როდესაც მას ქართული რაგბის განვითარება და სამომავლო პერსპექტივებზე სასაუბროდ ვეწვიეთ (იხილეთ მხარე 10).

– გიორგი ასანიძე. კიდევ ერთხელ გავისხენით 1996 წელი. რატომ გადაწყვიტეთ იმ რთულ პერიოდში საქართველოში ჩამოსვლა?

– საქართველოში 1996 წელს ზაზა ქასაშვილისა და ბიძინა გეგეძის თხოვნით ჩამოვედი, რათა ჩამეტარებინა ქართული რაგბის აუდიტი. აქ ვნახე უდიდესი ენთუზიაზმი იმ ადამიანებში, ვინც რაგბიში იყო ჩართული და მაშინვე ვთქვი, რომ ამ საქმის მიტოვება არ შეიძლებოდა. ერთის მხრივ იყო სურვილი და მისწრაფება და მეორეს მხრივ დავინახე მოთამაშეები, რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებით.

– ქართული რაგბისა და საქართველოს ნაკრების წინსვლა მაშინ დაიწყო, როდესაც თქვენი ხელშეწყობით ქართველ მორაგებებს ფრანგული კლუბებისკენ გაეხსნათ გზა. მაშინ თუ ფიქრობდით, რომ ეს ასეთი შედეგის მომტანი იქნებოდა?

– კიბლინგის სიტყვებს გავისხენებ – ეს გავაკეთე იმიტომ, რომ მეგონა შეუძლებელი იყო. ეს გამოწვეული იყო აუცილებლობით, რადგან სავარჯიშოდ არანაირი პირობები არ გვქონდა. ვვარჯიშობდით პარკებში, ავტოსადგომებზე, მოთამაშეთა ეკვიპირება საშინელი იყო და ზოგიერთი მათგანი საკმარისი რაოდენობით საკვებსაც ვერ იღებდა. მათი სურვილი, რომ დიდი რაგბი ეთამაშათ, ძალიან სცილდებოდა მათსავე შესაძლებლობას და გადაწყდა, რომ ისინი საფრანგეთში გაგვეგზავნა. თავიდან ცაბაძე, რუსკინი და რაფაეა, მთლიანობაში კი ფრანგულ კლუბებში 80-მდე მოთამაშე გავუშვი, თუმცა უნდა ითქვას, რომ ესენი არ იყო ნამყვანი კლუბები.

– ბერძენი გიგა შიქაძე – ტუნისი, მაროკო, რუსეთი, მაგრამ ვერსად მიაღწიეთ ისეთ წარმატებას, როგორც საქართველოში. რა იყო ამის მიზეზი?

– ამის მიზეზი ქართველთა შინაგანი კულტურა, სარაგბო ღირებულებებისა და ტრადიციების პატივისცემა და გთავისუფლება. ქართველ მოთამაშეებს, რომლებიც საფრანგეთის ჩემპიონატებში ჩაერთნენ, არასდროს შეუქმნიათ კლუბებისთვის პრობლემები. მათ აფასებდნენ თავგანწირვისა და თავდადებისთვის და ჩემი აზრით, სწორედ აქედან დაიწყო წარ-

მატება. ყველა ის წარმატება, რომელსაც საქართველოს ნაკრებმა და მასთან ერთად მეც მივაღწიე, არის მოთამაშეების დამსახურება. ეს ყველაფერი მათმა სწორმა მიდგომამ განაპირობა. მათ მოუწიათ სამშობლოს, საკუთარი ოჯახების დატოვება, უამრავი მსხვერპლის გადაება, რათა ქართულ რაგბის ამ წარმატებისთვის მიეღწია.

– ცოტა ხნის წინ ბორდოში დაესწართ ისტორიულ თამაშს, რომელშიც საფრანგეთმა პირველად უმასპინძლა საქართველოს მსოფლიო თასს მიღმა. ამ დროს ფრანგი უფრო იყავით თუ ქართველი?

– შეუძლებელია ჩემს სამშობლოს დავმორდე. ამავდროულად, მინდა გითხრათ, რომ ძალიან ამაყი ვიყავი იმ თამაშით, რაც ქართველებმა აჩვენეს.

– საფრანგეთში საქართველო წარმომადგენლობითი დელეგაციით იყო წარმოდგენილი – ქვეყნის პრეზიდენტი სალვადორე მატეო, კულტურის, სპორტისა და ასალგაზრდობის საქმეთა მინისტრი თამაზ უშაქაძე. თქვენი აზრით, რას მოუტანს ქართულ რაგბის სახელმწიფოს ასეთი ჩართულობა?

– მათი იქ ყოფნა იყო გადამწყვეტი. დღეს რაგბი არის ერთ-ერთი ის სფერო, რითაც საქართველოს მთელი მსოფლიო იცნობს. რაგბი ქმნის საქართველოს პოზიტიურ იმიჯს, როგორც მინიმუმ საფრანგეთში. იქ ქართველი მორაგებები ცნობილი არიან, როგორც წესიერი, მეტრძოლი ადამიანები. ქალბატონი პრეზიდენტის და მინისტრის იქ ყოფნა დასტურია იმისა, რომ საქართველოს მთავრობას კარგად ესმის რაგბის როლი ქვეყნის მსოფლიოების გაცნობისა და დასავლურ სამყაროსთან ინტეგრირების საქმეში.

– თქვენი მწვრთნელობის პერიოდში საქართველოს ლუქსემბურგთან, ბულგარეთთან, შვეიცარიასთან და მსგავსი დონის გუნდებთან უწყვეტად თამაში. მაშინ თუ ფიქრობდით, რომ დადგებოდა დრო და საფრანგეთი ტესტ-მატჩის გასამართად მიგვიწვევდა?

– გულახდილად რომ გითხრათ, დიას, მქონდა ასეთი გი-

ჟური ფიქრები. სანამ საქართველოს ნაკრებს ჩავიბარებდი, კლუბთან ერთად ორჯერ ვიყავი საფრანგეთის ჩემპიონი და კარგად ვიცოდი, რას წარმოადგენდა უმაღლესი დონე. ჩემთვის მაღვე გახდა ნათელი, რომ ქართველ მორაგებებს შეეძლოთ ამ დონეზე ასვლა, მაგრამ განვითარება არ დასრულებულა და დარწმუნებული ვარ, წინსვლა კიდევ იქნება.

– როგორ ფიქრობთ, კიდევ რა დრო გჭირდება ქართულ რაგბის იმისათვის, რომ ტიერა დონის სარაგბო ქვეყანა გახდეს?

– ეს დამოკიდებულია იმ სამუშაოზე, რომლის ჩატარებასაც მოახერხებთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ დაახლოებით 5 წელიწადში, 2027 წლის მსოფლიო თასზე, შეგიძლიათ ტოლ-სწორად ეთამაშოთ ნებისმიერ მეტოქეს და საუკეთესო 8-10 გუნდს შორის მოხდეთ.

– უკვე გაიცანით იმ რეფორმებს, რომლებიც დაწყებულია, ან იგეგმება ქართული რაგბის მომავალი განვითარებისთვის. რას ფიქრობთ მათ შესახებ და რომელ რეფორმას გამოარჩევდით განსაკუთრებულად?

– პირველი, რაც ყველაზე მეტად მომეწონა, არის ის, რომ პრეზიდენტს აინტერესებს ყველას აზრი, ყველას უსმენს. ჯერჯერობით მის მიერ წამოყენებული ინიციატივები სწორი მიმართულებით ვითარდება.

– როდესაც საქართველოში მუშაობდით, სავარჯიშოდ ერთი მოედანიც არ გქონდა, ახლა კი უკვე გვაქვს 27 მოედანი და დანარჩენებულია 100 მოედანი მშენებლობის პროექტი.

– მოედანი ზედმეტი არასდროსაა. ესაა ხანგრძლივი პროექტი და ძალიან მომწონს, რომ ის მთელს საქართველოზე გათვლილი. შედეგად, დიდი ქალაქებიდან მოშორებით მცხოვრებ ადამიანებსაც ექნებათ რაგბის თამაშის შესაძლებლობა და ეს აუცილებლად გახდება შედეგის მომტანი.

– საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბზე და მის პერსპექტივებზე რას იტყვით?

– ვთვლი, რომ საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი შესანიშნავად მუშაობს და ის თამაშის დონე, რომელსაც მაყურებელს სთავაზობენ, ძალიან მაალობს. ასევე მიმანია, რომ იმ მოთამაშეებს, რომლებმაც უკვე დაამთავრეს კარიერა, მიიღეს მაღალი დონის განათლება და აიღეს შენაბისი დიპლომები, მაგალითად დავით ზირაქაშვილს, აქვისნიტი გიორგაძეს, გოდერძი შველიძეს, დავით ბოლღაშვილს და ა.შ., შეუძლიათ საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბის კიდევ უფრო გაძლიერება.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ წარმატებული უცხოელი მწვრთნელის მონაწილეობით თამაშის ხარისხი კიდევ უფრო უკეთესი გახდება?

– რა თქმა უნდა, საქართველოს ვერავინ აუკრძალავს ამა თუ იმ მიმართულების გასაძლიერებლად უცხოელი სპეციალისტის აყვანას, თუმცა მე ვფიქრობ, რომ აღარაა აუცილებელი საქართველოს ჰყავდეს სრულად უცხოელებით დაკომპლექტებული სამწვრთნელო შტაბი, როგორც ჩემი, ან მილტონ ჰეისის მწვრთნელობისას იყო. ქართველმა მწვრთნელებმა სადავეები საკუთარ ხელში აიღეს და ეს ძალიან კარგია, რადგან ქართულ რაგბის უნდა ჰქონდეს თავისი განსაკუთრებული იდენტობა. დღეს საქართველოს ნაკრები განვითარების იმ ნერტილზეა მისული, რომ მეტი განვითარებისთვის არ უნდა მოახდინოს სხვა გუნდების სათამაშო სტილის კოპირება. დღეს საქართველო ჩამორჩება დიდ სარაგბო ქვეყნებს, მაგრამ თუ გაიმეორებს იმას, რასაც სხვები აკეთებენ, მათ ვერასდროს დაენევა. მან უფრო მეტი უნდა გააკეთოს, ვიდრე სხვებმა და ჩამოაყალიბოს ქართული რაგბის იდენტობა, რომელიც დაკავშირებული იქნება თქვენს სასაბრუნო და ბუნებრივ თვისებებთან. აუცილებელია გვექონდეს განვითარების საკუთარი გზა და დღეს ამის საშუალება გვაქვს.



ლორა თორშვილი

არამკითხა მოაზრება

ლიფსის და... ნონსებისთვის გამოიყენოს, მაგრამ ფაქტი უსიამოვნოა და პასუხი უნდა გაეცეს. ...ეფიქრობ რომ არა, ირაკლი როდესაც საქართველოს დასავლელი მეგობრები, მმართველი პარტიის აშკარა არადემოკრატიულ ქცევაზე საუბრობენ, ეს ხელისუფლებისადმი ნდობას შეარყევს. როდესაც თქვენი ქვეყნის უცხოელებზე გადაბრალებას ცდილობთ, თქვენ ძირს უთხრით ქვეყნის გეოპოლიტიკური ორიენტაციისადმი საზოგადოების ნდობას" - ასე ეხმაურება საქართველოში „ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის“ ყოფილი ხელმძღვანელი და გერმანიის მარშალის ფონდის, „დემოკრატიის დაცვის ალიანსის“ ხელმძღვანელი, ლორა თორშვილი ირაკლი კობახიძის განცხადებას.

ისევ მიკერძოება და სისრუე!

მთელს საქართველოს ორ დღეში საცივი, გოზინაფი, ღორის ხორცი, სასმელი და ვინეგრეტი ამოუვიდა ყელში! შოროოდა მგონი ეს მრავალი წლის წინ მაკარონით გამოცხვარი და მერე უუუამრავვერე გაფიცებული საჭაპურით პოლიტიკოსების გადაყრის დრო კაი ხანია დადგა.

დადგა არა მხოლოდ იმ ე.წ. პოლიტიკანების გადაყრის დრო, რომლებიც უკვე ძალიან ამოგვივიდა ყელში, არამედ იმ ხალხისაც, რომლებიც სარგებლობენ იმით, რომ ოდესღაც საქართველოში რომელიმე დიპლომატიურ მისიას, ან რაიმე კვლევით ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ და დღეს, მხოლოდ იმის გამო, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან მჭიდრო ურთიერთობები დარჩათ, ყველანაირად ცდილობენ თავიანთი განცხადებებით „შეგვაშინონ“.

მმართველი პარტიის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტის გარდაქმნას ამერიკის საელჩო გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „მმართველმა პარტიამ, მთავრობის ანგარიშგადგენულულებას ძირი გამოუთხარა...“

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ, აშშ-ს საელჩოს ამ განცხადებაზე, რომელმაც ნაც-სექტაში დიდი ჭყლოპინი გამოიწვია, საკმაოდ პრინციპული და ზუსტი კომენტარი გააკეთა: - ჩვენ ჩვენს პარტნიორებთან გვაქვს ოცდაათწლიანი ძალიან წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება. ძალიან ხშირად, ჩვენ ვიღებთ ხოლმე მათგან რჩევებს და, რა თქმა უნდა, ამ რჩევებს ვითვალისწინებთ. არის ხოლმე, სამწუხაროდ, ასეთი გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ჩვენ ვისმენთ არასამართლიან და არასწორ შეფასებებს მათი მხრიდან და ეს არის ამის მორიგი მაგალითი. სამწუხაროდ, ასეთი განცხადებები არყვეს ქართული საზოგადოების ნდობას დასავლელი პარტნიორების მიმართ, რაც არ არის კარგი და ეს ჩვენ არ უნდა დავუშვათ.

ცხადია კობახიძის ამ განმარტებას უკვე პენსიაზე გასული იან კელი და ლორა თორშვილი გამოეხმაურნენ და ნაცებისთვის გულის მოგების მიზნით „მკაცრი“ შეფასებები გააკეთეს. ჯერ ერთი, იმას ვიტყვი, რომ არც იან კელის და მითუმეტეს ლორა თორშვილის ამ განცხადებებს საქართველო-აშშ ურთიერთობებისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და მაქსიმუმ რომელიმე ოპოზიციურმა ტელევიზიამ, აღზნებული და ქოშინა ხმით, ახალი აპოკა-

მოკლე და ორაზროვანი იყო: „გზავნილი ნათელია: აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელი ინსტიტუტების გაუქმებით ან მარგინალიზებით, საქართველოს მთავრობა ერთპარტიული მმართველობისკენ მიისწრაფვის. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს მეგობრებმა, მთავრობის ევროპელიანტიკური კეთილშინდისიერებაში ეჭვის შეტანა დაიწყეს.“

ჩემი ღრმა რწმუნით, ირაკლი კობახიძემ ნამდვილად ღირსეული პასუხი გასცა ამ ორ არამკითხველ მოამბეს: - არის ხოლმე, სამწუხაროდ, ასეთი გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ჩვენ ვისმენთ არასამართლიან და არასწორ შეფასებებს მათი, პარტნიორების მხრიდან და ეს არის ამის მორიგი მაგალითი. სამწუხაროდ, ასეთი განცხადებები არყვეს ქართული საზოგადოების ნდობას დასავლელი პარტნიორების მიმართ, რაც არ არის კარგი და ეს ჩვენ არ უნდა დავუშვათ.

ბუნებრივია, ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის ჭკუის სწავლება სრულიად ზედმეტია, მაგრამ ზოგიერთი მიდგომა და განცხადებები, როგორცაც ისინი საქართველოს მიმართ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით აკეთებენ, რადიკალურად განსხვავდება არსებული რეალობისგან და სრულიად აცდენილია საქართველოში ძალაუფლების ბატონ-პატრონი ქართველი ხალხის ნებისგან. არ დავიწყებ იმაზე საუბარს, თუ ვინ არიან იან კელი და ლორა თორშვილი, რომლებმაც რბილად რომ ვთქვა, საქართველოში თავიანთი საქმიანობით არც თუ ისე კარგად დაგვემასხვრეს თავის!

უბრალოდ, საკვირველია ის ფაქტი, რომ მათი აშკარად ცალმხრივი და კონკრეტული პარტიის მხარდამჭერი განცხადებები საზოგადოებაში სწორედ იმდენად რომ არყვეს დასავლელი პარტნიორების მიმართ ნდობას, რაც უდაოდ არ არის დადებითი მოვლენა საქართველოს ხალხისთვის.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი ხელისუფლება დასავლეთის შესაბამის ინსტიტუტებს მიანვდის ზუსტ ინფორმაციას არსებული ვითარების შესახებ და აცნობებს, რომ მსგავსი მიკერძოება და სიცრუე ძალიან ვნებს საზოგადოების დადებით განწყობას დასავლური ინსტიტუტების მიმართ.

იან კელი

სულთათანა



ნატა ნაცვლიშვილი

ქართულმა მუსიკალურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი, ქართული საფორტეპიანო სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენის მფლობელი ნატა ნაცვლიშვილი (26.09.1942 - 5.01.2022).

მისი ღვაწლი ფასდაუდებელია ახალი თაობის პიანისტთა აღზრდის საქმეში. ნატა ნაცვლიშვილის შრომით ბიოგრაფია 60 წელზე მეტს ითვლის. ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლისას (პროფ. თამარ ჩხარტიშვილის კლასი) დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. ყველაზე დიდ ხანს იგი მუშაობდა თბილისის მ. ბაღანიაშვილის სახ. მე-3 საშუალო სასწავლებელში (1970-2006), ა. ვირსალაძის სახ. ხელოვნების გიმნაზიაში (1979 - 2014), ზ. ფალიაშვილის სახ. მე-2 საშუალო სასწავლებელში (1989-2006), სოლო 2006 წლიდან დღემდე იყო ე. მიქელაძის სახ. ცენტრალური საშუალო სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილების გამგე და წამყვანი პედაგოგი.

მის მრავალრიცხოვან მოსწავლეთა შორის უმრავლესობამ პიანისტი-მუსიკოსის პროფესია აირჩია და დღეს ისინი წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოშიც და საზღვარგარეთაც - საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, აშშ, რუსეთში და სხვა ქვეყნებში. მის მოსწავლეთა შორის 21 საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია.

იგი იყო მაღალი კლასის პროფესიონალი, ნოვატორი პედაგოგი, რომელსაც ხელნაწილებზე ბავშვის სულიერ სამყაროში წვდომა, მუსიკის მიმართ სიყვარულის გაღვივება და შრომისმოყვარეობის გამომუშავება. იგი თავის მოსწავლეებს მხოლოდ ინსტრუმენტზე დაკვირვების ხელოვნებას არ ასწავლიდა, ის იყო მათი მეგობარი, სულიერი მენტორი. ასევე იგი გამოირჩეოდა საუკეთესო ადამიანური თვისებებით, სულიერი კულტურით, კეთილმოსურნეობით, რომელსაც შეეძლო უშურველად გაეზიარებინა ყველასთვის თავისი მდიდარი პედაგოგიური ცოდნა და გამოცდილება.

ქალბატონ ნატას ღვაწლი არაერთხელ იყო დაფასებული მთავრობის, კულტურის სამინისტროს, ქალაქის მერიის კულტურის სამსახურის მიერ. დაჯილდოებული იყო საპატიო სიგელით და დიპლომებით, რამოდენიმეჯერ მინიჭებული ქონდა „წლის საუკეთესო პედაგოგის“ წოდება (2001, 2002, 2004) ღირსების ორდენი (1998).

ქალბატონი ნატას გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია ე. მიქელაძის სახ. ცენტრალური საშუალო სასწავლებლის მთელი კოლექტივისა და მისი მოსწავლეებისათვის.

ქალბატონი ნატას სსოვნა მუდამ დარჩება მისი აღზრდილების და კოლეგების გულში.

ივვანი მიქელაძის სახელობის ცენტრალური საშუალო სასწავლებელი

მელიქიშვილის ბაგნირი ტრანსპორტისთვის ორმხრივი პასუხი

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის, ვიქტორ წილოსანის განცხადებით, მელიქიშვილის გამზირი საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის ორმხრივი განვითარება.

მისივე განმარტებით, გეგმის მიხედვით, მელიქიშვილის გამზირზე საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილი ზოლი ცალკე იქნება. დღეს არსებობს ერთი მიმართულება, თუმცა დღეიდან ორი მიმართულებით იქნება.

„ოთხი წლის განმავლობაში მუდმივად ვსაუბრობთ იმაზე, რომ სატრანსპორტო პოლიტიკის მიზანი არის ადამიანებს, საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილეს გადაადგილების თანაბარი შესაძლებლობა მივცეთ. შემდეგ ადამიანებმა თვითონ უნდა აირჩიონ, თუ რიგე მოხდება გადაადგილება. მელიქიშვილის გამზირთან დაკავშირებით განსაკუთრებული ზოლი იქნება ცალკე. ანუ დღეს არსებობს ერთი მიმართულება, თუმცა ამჯერად ორი მიმართულებით იქნება, ვინაიდან მოქალაქეებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება იყოს უფრო ხელმისაწვდომი და მოხერხებული. შესაბამისად, ნებისმიერი ცვლილება ტრანსპორტით დაკავშირებით, რომელიც სორცვილდება, მიმართულია იმისკენ, რომ ადამიანებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ფეხით გადაადგილება და ა. შ. იყოს გაცილებით უფრო მოხერხებული, ვიდრე დღეს მდგომარეობით არის“, - აცხადებს ვიქტორ წილოსანი.

თეატრული თეატრის უკიდურესი უკიდურესი მიკროპრობლემა ალარ იმოდრაგენი

1 თეატრული თეატრის უკიდურესი უკიდურესი მიკროპრობლემა ალარ იმოდრაგენი, - ამის შესახებ მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა ჟურნალისტიკებს განუცხადა. „როდესაც ბარათებს (სამგზავრო აბონენტები) გააქტიურდება, ანუ 1 თეატრული თეატრის მიკროპრობლემა ალარ იმოდრაგენი არ იმოდრაგენს. დღეისთვის ათასივე მიკროპრობლემა ალარ იმოდრაგენი, 450 უკვე ქსელშია, დანარჩენი 550-ის მომზადება მიმდინარეობს ქალაქში გასასვლელად - უნდა დამონტაჟდეს გადახდის აპარატები, მთვლელები. 1 თეატრული თეატრის მიკროპრობლემა ალარ იმოდრაგენი...“

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტორების ინსტიტუტი აბრძალავს მუშაობას მისამართულ-თეატრული მღვდლის, 13 ა. VII სართული. ტელ. 224 00 99; 224 00 98. მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილება. გისურვებთ ჯანმრთელობას!



თანადგომის გურჯი

მეგობრობა გზად და სიდად!

მეგობრობა გზად და სიდად, ეს სიტყვები სწორედ ჩვენს ძვირფას მეგობარს ვახტანგ ვეფხვაძეს მიესადაგება. მისი ყურადღება არაფერს აკლია, განსაკუთრებით მის მეგობრებს, ამოტომაც ვახტანგის ყოველდღიური ზრუნვა ჩვენს მიმართ ფასდაუდებელია.

სამუშაო საათების დამთავრებისთანავე (ნეტავ რომელი ჩვენგანი მუშაობს?), ჩვენი მობილური ერთსადაიმამდე დროს აწკრივდება, და... ვახტანგის კატეგორიული დაავალებაც არ აყოფნებს. არადა, ვინ შეეწინააღმდეგება...

ოთარ ბრეგვაძე, დემურ ყიფიანი, ვოვა კერესელიძე, გივი სისარულიძე, ალექო თელიძე, თმარ სიამაშვილი, ავთო წილოსანი სრულ მზადყოფნაში ვართ ე. წ. გტო-ს („გატოვ კ ტრუდუ ი თბორონე“) შესასრულებლად და მოუთმენლად ველოდებით ვახტანგის გამოჩენას.

ნოდარ დუმბაძის სახელობის „მზიურის“ შესანიშნავი პარკი საოცარ გარემოს ქმნის სავარჯიშოდ (ჩვენთვის – სასიარულოდ). მადლობა ქალაქის მერს, ბატონ კახა კალაძეს ყველა სიკეთესთან ერთად ამ პარკის კეთილმოწყობისა და დამსვენებელთათვის კომფორტის შექმნისთვის.

„საღამოს პროგრამის“ – 5 კილომეტრამდე ფენით სიარულის პირნათლად შესრულების შემდეგ, თითო „ზალატო კლუჩიკაც“ ვიმსახურებთ ვახტანგისგან.

ჩვენი „მზიურში“ ყოფნა მართლ ვარჯიშით არ შემოიფარგლება. ეს ჩვენი ყოველდღიური ურთიერთობაა, საინტერესო ამბების გასსენებითა და ზოგჯერ პოლიტიკოსების ვაკენწვლით დამთავრებულად.

თითოეული ჩვენგანის სახლებში მშვიდობიან დაბრუნებასაც სომ ვახტანგი უზრუნველყოფს.

გადაწყვეტილ შობა-ახალი წელი საჯაროდ მივულოცოთ მას და მის შესანიშნავ თჯახს და გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება მის მიმართ. დემურთა ამრავლოს ვახტანგ ვეფხვაძისნაირი ადამიანები ჩვენს ქვეყანაში.

ოთარ ბრეგვაძე, ვოვა კერესელიძე, ალექო თელიძე, ავთო წილოსანი, გივი სისარულიძე, თმარ სიამაშვილი, დემურ ყიფიანი.



80 წლის ბიჭები ვარჯიშის შემდეგ

ამ თბილ, იუმორითა და სიყვარულით სავსე მილოცვას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლებიც ვუერთდებით. ბატონ ვახტანგს, უკეთესობილეს ადამიანსა და ქალაქის კოლორიტს უულოცავთ შობა-ახალ წელს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, მშვიდ, ერთიან და ძლიერ საქართველოში ცხოვრებას!

დიდება ყოვლის უემოქმედს!

პირიშასო თანამშრომელნი, მაქვს პატივი საქართველოს აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანს „არიერგარდის“ სახელით მოგილოცოთ ყველა ქრისტიანისთვის ყველაზე უპვირფასესი დღე – ქრისტიანობის ბრწყინვალე დღესასწაული. მძიმე დრო დაგვიდგა, მაგრამ უთუოდ დაიძლევა ყველა სირთულე ქრისტეს მადლით და შემწევობით. გვწამდეს, რომ ურთიერთსიყვარულით, ერთად დგომით, დედაეკლესიის წიაღში დაბრუნებით მოვა ხსნა, გაივლის განსაცდელი, განახლდება ცხოვრება. მუდამ უნდა გვქონდეს განცდა, რომ უფალი ჩვენთანაა. ბოლო წლებში ჩვენში დამკვიდრებული გრადიციით შობის დამეს კვლავაც ფანჯარასთან ანთებული სანთლით შევეგებოთ ამქვეყნად კაცობრიობის მაცხოვრის მოვლინების დირსეულ დღესასწაულს.

„დიდება ყოვლის უემოქმედს! დიდება მისა მცნებასა. დიდება ძვირად მაცხოვრის სოციალ მოვლინებასა.“

მშვიდობა და ბედნიერება მოეგნოს ამ დღეს თითოეული ჩვენთაგანის ოჯახისა და დედასაქართველოსთვის. შევევედროთ მაცხოვარს გააერთიანოს დეთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.

„დიდება მადალთა შინა დმეროსა, ქვეყანასა ზელა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“.

გურამ საღარაძე,

აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანს „არიერგარდის“ თავმჯდომარე, თბილისის საპატრიარქოს მოქალაქე, ვაკის მაცხოვრის ფერიცვალის ეკლესიის სტიქაროსანი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

06.01.2022



გაღაპარჩინეთ გარკვევით ქორწინებისგან!

ინგლისში კაცმა ოჯახის შესაქმნელად უჩვეულო მეთოდს მიმართა. 29 წლის მუშაობა მალიკმა ლონდონსა და ბირმინგემში უზარმაზარი ბილბორდები განათავსა თავისი ფოტოებითა და წარწერით: „გაღაპარჩინეთ გარკვევით ქორწინებისგან“.

მალიკი ლონდონში ბანკის კონსულტანტად მუშაობს და განმარტავს, რომ გარკვევით ქორწინების წინააღმდეგი სულაც არ არის, თუმცა ჯერ უნდა თავისი მეორე ნახევრის პოვნა დამოუკიდებლად სცადოს. მისივე თქმით, მან გაცნობის არაერთ მეთოდს მიმართა, თუმცა უშედეგოდ. ბილბორდების გამოყენება კი მას მეგობარმა შესთავაზა. მალიკის იდეალური პარტნიორი მუსლიმი უნდა იყოს და მის ოჯახს უნდა შეეწყოს. „რეკლამის განთავსების შემდეგ ასობით შეტყობინება მივიღე, მაგრამ მათ წასაკითხად დრო ჯერ ვერ გამოვანახე“, – თქვა მან.

მალიკის რეკლამები ინგლისის ქალაქების ქუჩებში 14 იანვრამდე დარჩება.

ყველაზე დიდი მოხრილი მონიტორი

Samsung-მა თამაშებისთვის და სოციალური ქსელებისთვის მოხრილი მონიტორი Odyssey Ark-ი გამოუშვა. კომპანიამ მონიტორის გამოშვება გამოაქვეყნა CES 2022-ზე დააანონსა.

Odyssey Ark-ი ბაზარზე ყველა დიდი მოხრილი მონიტორია. მოწყობილობას სპეციალური სადგამი აქვს, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს შეუძლია ის ვერტიკალურად, ჰორიზონტალურად ან დიაგონალურად მოათავსოს. ფირმა მონიტორის ფასს ჯერჯერობით არ ასაჯაროებს. ასევე უცნობია, როდის დაინწყება მისი გაყიდვა.

მარსის ახალი ფოტოები

წითელი პლანეტის გარშემო მოძრაობა ჩინურმა სომალდმა Tianwen 1-მა ჩვენი მეზობელი პლანეტის გასაოცარი ფოტოების მთელი სერია გადაიღო. კადრები Tianwen 1-დან გამოშლილმა პატარა კამერამ გადაიღო. ფოტოებზე ჩანს წითელი პლანეტის თავზე ყულად ჩამოკიდებული თავად Tianwen 1-იც, ასევე მარსის ჩრდილოეთის ყინულის ქუდი.

ფოტოები გარკვეულწილად სამეცნიერო ფანტასტიკის ფილმიდან გეგონებათ, მაგრამ ამავე დროს, საოცრად წააგავს ჩვენს მშობლიურ პლანეტასაც. ჩინური სომალდი დედამიწიდან 350 მილიონი კილომეტრის გარშემო, მარსის ორბიტაზე იმყოფება. სურათებში ასევე ნახავთ Tianwen 1-ის ოქროსფერი კოროპუსის ასლო კადრს, რომელშიც ასევე ჩანს მისი სამეცნიერო ანტენა და მზის პანელები, რომლებიც მას ენერგიით უზრუნველყოფს. Tianwen 1-ის კამერა გარკვეულწილად უნიკალურია, რადგან შეუძლია, ერთდროულად გადაიღოს როგორც თავად სომალდი, ისე წითელი პლანეტა. ჩინეთის კოსმოსური სააგენტო ასევე აქვეყნებს მარსის ზედაპირზე მყოფი მავალის, Zhurong-ის მიერ გადაღებულ მონაცემებს, რომელზეც ჩვენთვის უფრო ნაცნობი რელიეფი ჩანს. Tianwen 1 მარსის ორბიტაზე 2021 წლის თებერვლიდან მოძრაობს, მავალი Zhurong კი წითელი პლანეტის ზედაპირზე მისში დეშვა და ჩინეთის პირველი სომალდია, რომელმაც ეს შეძლო, მსოფლიოში კი რიგით მეექვსე.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35

ბასუსისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86;

ბასუსისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24


გამომცემელი: შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანადგომა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორი“ ე. ბაღდავაძის №3

კოლორი ჰაუზი

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შეუქვეთავი მასალაში დანიშნულია ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შეხატალება, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს ატვირთავთ ავტორები.

გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა ორშაბათს, 10 იანვარს



უსტორიკი ვალუტის ჭარხი: აუზ ფონარი - 3.0964; პარკი - 3.5023; ბრიტანული პირანა სტარლინი - 4.1894; 100 რუბლი - 4.1209; თურქული ლირა - 0.2301; აზერბაიჯანული მანათი - 1.8240; 1000 სომხური დრამი - 6.4007.

Table with exchange rates for various currencies: ალიანი 7 იანვრისთვის, ალიანი რეპლიკა, ალიანი რეპლიკა, ალიანი რეპლიკა.

დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge